სკოლის მართვა

#1, 2024

» საჭიროა განვითარება ხალხის გონებისა. საჭიროა ვუცქერდეთ ხალხს არა მხოლოდ როგორც ტლანქ მუშა ძალას, არამედ როგორც გონიერ ძალას, რომელსაც შეუძლიან მუდმივი და დაუსრულებელი განვითარება და სრულყოფა...

ჟურნალი „განათლება", IV, აპრილი, 1916 წელი

რას გვიჩვენებს ამერიკის მაგალითი

საგანმანათლებლო ლიდერის ძირითადი საზრუნავი: სასკოლო სასწავლო გეგმა

საგანმანათლებლო ლიდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში

მოსწავლის დისციპლინური დევნა

მოსწავლის ქცევა და შესაგამისი რეაგირების მექანიზმები სკოლაში

ISSN 1512-0279

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში

პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ახალი გზამკვლევი სასკოლო საზოგადოებისთვის
„მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში“

სკოლის მართვა

#1, 2024

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მაია არაბიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

თეონა სილაგაძე
დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასკოლო ქსელების (eTwinning) გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

დენის ჩურჩუმია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

ფოტოგრაფი:
გელა გედიანაშვილი

დიზაინერი:
გესლი დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი N6
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

„შრომა მუშაობაა, სადაც საყურადღებოა ის კი არა, რამდენი კაცი გაიწვალება და დაიქანცება სხეულით, არამედ ის, რამოდენა გონებაა იქ ნახმარი. ამიტომ ცხოვრება დუღს და მიდის წინ იქ კი არა, სადაც ბევრს მუშაობენ, ხარჯავენ ტლანქ ძალას, არამედ იქ, სადაც ბევრს შრომობენ, ამოძრავებენ ხალხის გონებას“ – წერს მწერალი, საქართველოსა და მისი განათლების სისტემის დიდი გულშემატკივარი და მოამაგე ივანე ლუკაშვილი („ვანათში ნამყოფის“ ფსევდონიმით) ჟურნალ „განათლების“ 1916 წლის აპრილის ნომერში, სადაც განიხილავს ამერიკის მაგალითს, როგორც ადამიანის ძალისხმევისა და გონების გამოყენების წარმატებულ მაგალითს. კონკრეტული მაგალითების გამოყენებით ასაბუთებს, რა და რატომ მოსწონს ამერიკაში და რა შეგვიძლია ვისწავლოთ მათგან ჩვენ...

სწორედ ამერიკის მაგალითია ჩვენი მიმდინარე ნომრის მთავარი თემა – განათლების ისტორიის რუბრიკიდან დაწყებული, კვლევით, კონკრეტული სკოლის პრაქტიკის გაცნობით, თეორიული/კონცეპტუალური საყრდენებით დამთავრებული, გაეცნობით ჩვენი დიდი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის სასკოლო განათლების ისტორიასა და პრაქტიკას.

სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა დღეს ჩვენი სკოლებისთვის. ამ კუთხითაც შევიხედავთ ამერიკის სკოლებში. გარდა ამისა, გავეცნობით მოსწავლეთა დისციპლინასა და მოსწავლის ქცევებზე რეაგირების მექანიზმებს.

გაგაცნობთ 1910 წლის სტატიას ამერიკაში საბავშვო სამკითხველოებისა და კითხვის მნიშვნელობის შესახებ და გეგონებათ, რომ ავტორმა ეს სტატია აგერ, გუშინ დაწერა – ისევ ისე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეს მიმართულება დღეს ამერიკასა თუ საქართველოში.

ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ვესტფილდის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის დირექტორი დეტალურად გაგაცნობთ თავის სკოლას, საქმის მიმართ თავის დამოკიდებულებას, სკოლაში დამკვიდრებულ კულტურას, კოლეგებთან თანამშრომლობის მისეულ სტრატეგიას, პრიორიტეტებს. იქნებ რომელიმე თქვენგანს ქალბატონ მერისა და მის სკოლასთან აქტიური თანამშრომლობის სურვილიც გაუჩნდეს? ვინ იცის... თუ ასე იქნება, ჩვენ ძალიან გაგვიხარდება, თუ მოგვეცემა საშუალება, ხელი შევუწყოთ ქართული და ამერიკული სკოლების დამეგობრებას!

არც ამ ნომერში ვღალატობთ ტრადიციას და გაგაცნობთ ახალ გზამკვლევს, რომელიც დაეხმარება სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და მშობლებს, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მონაწილეობითი კულტურის დამკვიდრებას, შესაბამისად, დემოკრატიის ხარისხის ზრდას საქართველოს სკოლებში, რაც ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია.

შინაარსი N1, 2024

განათლების ისტორია

03 **რას გვიჩვენებს ამერიკის მაგალითი?**
სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, IV, აპრილი, 1916 წელი

მთავარი თემა

08 გერიკა შუკაკიძე
საგანმანათლებლო ლიდერის ძირითადი საზრუნავი: სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

14 ვენდი ა. პატერსონი
განათლების სისტემის მოკლე ისტორია შეერთებულ შტატებში
1871-2021

21 ეკატერინე დაუქვიაშვილი
ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა

ინტერვიუ

30 **ურთიერთოგები სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია**
ინტერვიუ მაკინლის დაწყებითი სკოლის დირექტორთან, გერი მაქეიგთან
ესაუბრა ეკატერინე დაფქვიაშვილი

კვლევა

41 მაია არაბიაშვილი
საგანმანათლებლო ლიდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში
მოამზადებულია OECD-ის კვლევის შედეგების მიხედვით

განათლების ისტორია

45 **საგაკვთო სამეცნიერო ამერიკაში**
სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, II, თებერვალი, 1910 წელი

სკოლა და კანონმდებლობა

47 დენის წურწუმია
დისციპლინური დევნა საჯარო სკოლაში

51 ნატა ვაჭარაძე
მოსწავლის ქცევა და შესაგამისი რეაგირების მექანიზმები სკოლაში

დირექტორის ბიბლიოთეკა

55 თამუნია ჭინჭარაული
„მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში“
ახალი გზამკვლევი სასკოლო საზოგადოებისთვის

რას გვიჩვენებს ამერიკის მაგალითი?

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება"
IV, აპრილი, 1916 წელი

> საჭიროა განვითარება ხალხის გონებისა. საჭიროა ვუცქერდეთ ხალხს არა მხოლოდ როგორც ტლანქ მუშა ძალას, არამედ როგორც გონიერ ძალას, რომელსაც შეუძლიან მუდმივი და დაუსრულებელი განვითარება და სრულყოფა...

არის არაბული ზღაპარი – ალადინზე და მის თვალთმაქც ლამფაზე. ალადინი იყო ღარიბი, ობოლი ბიჭი; მუდამ მშიერმწყურვალი და დაგლეჯილი დადიოდა. ერთხელ შეხვდა მას ვინმე მისანი, შეამჩნია მის სახეს რაღაც მიმზიდველობა, და წაიყვანა იგი ქალაქ გარედ – მინდორში; მიიყვანა დიდ და მძიმე ფილაქანთან და უთხრა, რომ აეხადნა ეს ფილაქანი. ალადინმა ახადა და დაინახა მის ქვემოთ ფართო მარმარილოს კიბე.

– ჩადი ამ კიბეზე, – უთხრა მისანმა ალადინს. – იქ დაგხვდება ბევრი დიდი დარბაზები სხვა და სხვა განძეულობით. კარები თავის-თავად გაიღებიან შენ წინ; ხოლო შენ იქ ნახულ სიმდიდრეს არ ახლო ხელი, არ მოსცდე ამითი. იარე ბოლომდის, სულ უკანასკნელ დარბაზამდის, სადაც ნახავ ლამფას. იგი უძვირფასესია ყველა სიმდიდრეზე, რომლებიც შენ განცვიფრებაში მოგვიყვანენ გზაზე.

ალადინი წავიდა ლამფის საძებნელად, დაფიქრებული, რას ნიშნავდა ეს. ნახა ლამფა; არ იყო მაინცა და მაინც კარგი შესახედავი, ტლანქად გაკეთებულს, ჟანგი მოჰკიდებოდა. მაგრამ როგორც კი ალადინმა გაწმინდა ლამფა, მაშინვე გამოსჩნდა რაღაც სული და ჰკითხა ალადინს, რას უბრძანებს მას.

შეშინებულმა ალადინმა შესძახა:

– ვინ ხარ შენ?

– მე ვარ ამ ლამფის სული, – მიიღო პასუხად, – ვალდებული ვარ, გამოგეცხადო ხოლმე ყოველთვის, როგორც კი გასწმენდ ამ ლამფას და შევასრულო ყველა შენი ბრძანება.

მუდამ მშიერმა ალადინმა მოსთხოვა სულს საჭმელი. სულმა შეუსრულა თხოვნა, და ალადინი გაძღა. მაშინ ალადინმა სთხოვა, დაგლეჯილი ტანისამოსის მაგივრად, ჩაეცმია მისთვის ძვირფასი; ესეც შეუსრულა სულმა.

ამნაირათ, ალადინი თანდათან სწმენდდა თავის საგრძნეულო ლამფას, რის სამაგიეროთაც, მისი შემწეევნობით, მისი ცხოვრება სრულიად გაუმჯობესდა. მას დაავიწყდა გაჭირვება და შიმშილი; სხოვრებდა კმაყოფილად. დაუკავშირდა ჭკვიან, კარგ ადამიანებს, და მით განთავისუფლდა თავისი წინადელი უზრდელობისაგან. მისთვის დაიწყო ახალი, ბედნიერი, გონივრული და დიდებული ცხოვრება. ყოველივე ეს მიანიჭა მას მძიმე ფილაქანის ქვეშ ნაპოვნმა ლამფამ, რომელიც მთელი საუკუნოები დაფარული იყო მიწაში უნაყოფოდ.

» შრომა სხვა არის – შრომა – ეს უკვე გაუმჯობესებული მუშაობაა, შეერთებული განათლებულ გონებასთან. შრომა მუშაობაა, სადაც საყურადღებოა ის კი არა, რამდენი კაცი გაიწვალება და დაიქანცება სხეულით, არამედ ის, რამოდენა გონებაა იქ ნახმარი. ამიტომ ცხოვრება დღეს და მიდის წინ იქ კი არა, სადაც გვერს მუშაობენ, ხარჯავენ ტლანქ ძალას, არამედ იქ, სადაც გვერს შრომობენ, ამოძრავებენ ხალხის გონებას.

ეს ზღაპარი ალადინზე და მის ლამფაზე, რაც უნდა გამოგონილად გვეჩვენოს, მაინც შეიძლება ცოცხალ სინამდვილედ განმეორდეს ჩვენ თვალ წინაც. ასეთი საკვირველი საქმები, გაბრწყინებული ლამფის შემწევნობით, ხდებოდა არა მარტო ალადინთან, არამედ ათას სხვებთან, ალადინების მთელ ხალხთან.

არა მარტო ერთი ალადინი იზრდებოდა ღარიბულად, უსწავლელად, უპატრონო ობლად. ამნაირათ იზრდებოდნენ მთელი ერებიც; სცხოვრობდნენ ნახევარზე მშივრად, დადიოდნენ დაგლეჯილები, მაგრამ, როგორც კი მიწაში „ლამფას“ პოულობდნენ, გამოჰქონდათ დამალული ხალხის ჭკუა და „ჰფერავდნენ“ მას, სწმენდავდნენ, აძლევდნენ ბრწყინვალებას, მაშინვე ალადინების ხალხს ეცხადებოდნენ ძლიერი სულები, რომლებიც კიდეც აცმევდნენ მას. კიდეც აჭმევდნენ და კიდეც ახალ ცხოვრებას ანიჭებდნენ.

ამ ალადინის ლამფაში, მთელი ხალხის ჭკუაში, დაფარულია ისეთი ძლიერი სულები, რომლების ძალის წარმოდგენაც ჩვენ არ შეგვიძლიან. მათი ძალა პირდაპირ საზღაპროა, თვალთმაქცია. მაგრამ ამ ძალების სამუშაოდ ამოსაძრავებლად, ცხოვრებაში გამოსაყენებლად, საჭიროა

სინამდვილეზე განმეორებას ალადინის ლამფის ისტორიისას ჩვენ ვხედავთ მომეტებულად კულტურულ და განათლებულ ქვეყნების ყოველმხრივ განვითარებაში. მაგრამ უფრო სად არის შესამჩნევი ალადინის ლამფის საკვირველი მოქმედება, ეს ამერიკაში, შერთებულ შტატებში.

მძიმე ფილაქანის ახდა, რომელიც ჰფარავს თავის ქვეშ ფართო კიბეს ძვირფას საუნჯებისაკენ, საჭიროა მოძებნა საუკუნოებით დამალული ლამფისა, მისი გაწმენდა-გაფერვა.

სინამდვილეზე განმეორებას ალადინის ლამფის ისტორიისას ჩვენ ვხედავთ მომეტებულად კულტურულ და განათლებულ ქვეყნების ყოველმხრივ განვითარებაში. მაგრამ უფრო სად არის შესამჩნევი ალადინის ლამფის საკვირველი მოქმედება, ეს ამერიკაში, შეერთებულ შტატებში.

ამერიკის ცხოვრების რა მხარეც გინდათ აიღოთ: იგი საზღაპრო და განსაცვიფრებელია. აიღეთ მისი მცხოვრებლების გამრავლება. რაოდენობა მცხოვრებლებისა იზრდება არა დღეებით, არამედ საათობით. ასი წლის წინათ შეერთებულს შტატებში იყო ხუთ მილიონზე ცოტა მეტი; ეხლა კი ითვლება 75 მილიონზე მეტი. მაშასადამე, ამ ასი წლის განმავლობაში მოჰმატებია 70 მილიონი მცხოვრები, თვითეულ წელიწადში – 700 ათასი, დღე-ღამეში – 200 კაცი, ზოგიერთ საათში – თითქმის ასი კაცი. თვითეულ საათში ემატება ასი ახალი ადამიანი, ახალი მუშა ხელი, ასი ახალი ცოცხალი ძალა.

ამის დაკვალობაზე იზრდებიან ქალაქებიც. ასი წლის წინათ ნიუ-იორკში იყო 60 ათასი მცხოვრები, ეხლა კი სამ მილიონ ნახევარია. ხალხი გამრავლდა 60-ჯერ. ეგრევეა სხვა ადგილებშიც. ასი წლის წინათ ჩიკაგოში ითვლებოდა ოთხი ათასი მცხოვრები: ეხლა კი – ერთი მილიონი შვიდასი ათასი მცხოვრებია. ქალაქი ასი წლის განმავლობაში გადიდდა 425-ჯერ.

ეგრევე ზღაპრულად იზრდება იქაური ქვეყნის სიმდიდრე. ასი წლის წინათ სახალხო სიმდიდრე შეერთებული შტატებისა შეადგენდა ორ მილლიარდ მანეთს, ეხლა კი 200 მილლიარდამდის ავიდა. იქ კერძო ადამიანების ხელშიაც პირდაპირ ზღაპრული სიმდიდრე სწარმოებს. მოვიყვანოთ მაგალითად მორგანი, იგი სდგას იმ კავში-

რის სათავეში, რომელსაც ხელთ უპყრია ამერიკის მთელი რკინეულობის წარმოება. ამ კავშირის თავნი ფული უდრის ორნახევარ მილიარდს, მორგანს კიდევ ეკუთვნის ელექტრონის საზოგადოება, რომელსაც აქვს თავნი 90 მილიონი. შემდეგ მორგანს ეკუთვნის სარეზინო ქარხანა თავნით 125 მილიონი; კიდევ ეკუთვნის ორთქმავალის საზოგადოება თავნით 400 მილიონი, – და კიდევ რამდენიმე. საერთოდ სამნახევარ მილიარდით ეს ფული წელიწადში მარტო პროცენტებს, წმინდა შემოსავალს მისცემს სულ ცოტა 350 მილიონს. თითქმის დღეში ერთი მილიონს. თვითეულ დღეში მილიონი შემოსავალი, – განა ეს ზღაპარი არ არის?

ხოლო მორგანი ერთი არ არის ამერიკაში, ამისთანა რამდენიმე ათეულია. ერთმა მდიდარმა, ვინმე კარნეჯიმ, შესწირა, მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში განათლების საქმეს 50 მილიონი მანეთი, და თავის საქმეების მაწარმოებლად დარჩა კიდევ დიდძალი თანხით. გაშინჯეთ ეს შესაწირავი, რა გულუხვია, საზღაპროა.

იგივე ზღაპრული გარემეობა გამოდის, როდესაც ლაპარაკი გადადის მშრომელ ხალხზე. ინგლისელი სწავლულები, რომლებიც იკვლევენ მშრომელი ხალხის მდგომარეობას შეერთებულ შტატებში, დიდად გაკვირვებულები არიან.

– ჩვენს ინგლისში მუშის ფასი დიდია, – ამბობენ ისინი, – მაგრამ ამერიკის ფასი ჩვენც გვანცვიფრებს.

ამერიკაში ყოველ წლობით გადადის ევროპიდან ასი ათასობით საუკეთესო, ძლიერი სულითა და ხორცით, ხალხი, – და ამიტომ შეერთებული შტატები იზრდება. ეს რამდენამდე მართალია: შტატების მცხოვრებლები თან და თან ბევრდება ევროპიდან გადმოსახლებულებით, – მაგრამ შტატებს შეუძლიან იკითხოს: „რატომ არის ეს, რომ თქვენ თავს განებებენ და მოდიან ჩვენთან? უთუოდ რაიმე მიზეზებია, რომლებიც ჩვენსკენ იზიდავენ თქვენ ხალხს“.

ამბობენ კიდევ, რომ შეერთებული შტატები იმყოფება განსაკუთრებით ბედნიერ პირობებში შესახებ თავის ჯარის რაოდენობისა. შტატებმა სრულებით არ იციან ის, რასაც, ევროპაში ეძახიან მილიტარიზმს, რომელიც, როგორც მღილი, ისე სჭამს სხეულს ევროპიელ სახელმწიფოებისას, როდესაც მოითხოვს ხალხისაგან უზომო ხარჯებს. მართლაც, ევროპი ჯარები მძიმე ტვირთად აწვება თავიანთ ქვეყნებს. გერმანიაში 57 მილიონ მცხოვრებლებზედ მშვიდობიან დროს ჯარი უდრის ექვსას ათასს, საფრანგეთში 38 მილიონ მცხოვრებლებზედ იმდენივე (600,000). ხოლო შეერთებულ შტატებში 75 მილიონ მცხოვრებლებზე ჯარი სულ ასი ათასია. რამდენია ევროპაში ამიტომ ახალგაზრდა ხელი დაბანდებული მუშაობისაგან, და ყოველივე ეს რა ღირს?

ესეც მართალია, მაგრამ ამერიკას შეუძლიან უთხრას ევროპის ხალხებს, თუ კი ჯარები ასე სამძიმოა, მაშ რატომ ჰფიქრობთ რაც კი შეიძლება უფრო გაამრავლოთ ისინი? რატომ არ მოაწყობთ ცხოვრებას ისე, რომ ჯარები შემცირდეს, და არა გამრავლდეს? ჩვენ რატომ ვკმაყოფილდებით პატარა ჯარს, მიუხედავად მცხოვრებლების სიმრავლისა?

უმთავრესი მიზეზი ამისი ხალხის ბრწყინვალე განათლებაშია, გონების განვითარებაში, რომელიც ამერიკაში ეძლევა ხალხს.

არც ერთს ქვეყანაში ცხოვრებაზე არ იხარჯება იმოდენა შრომა, და შრომა გონივრული, როგორც ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, შენიშნეთ, ვამბობ: შრომა, და არა მუშაობა. მუშაობენ სხვა ქვეყნებშიაც, შეიძლება ნაკლებადაც არა. ჩვენში, მაგალითად, რა გულსმოდგინეთ მუშაობს მიწის მუშა! მაგრამ შრომასა და მუშაობას შორის განსხვავებაა. მუშაობა სხვა არის. მუშაობს ცხენიც, მუშაობს ორთქლიც მანქანაში, მუშაობს ქარიც, როდესაც მიაქვს იალქნიანი გემი, ან ატრიალებს წისქვილს ფრთებს. მუშაობს ტვირთის მზიდველი მუ-

არც ერთს ქვეყანაში ცხოვრებაზე არ იხარჯება იმოდენა შრომა, და შრომა გონივრული, როგორც ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, შენიშნეთ, ვამბობ: შრომა, და არა მუშაობა. მუშაობენ სხვა ქვეყნებშიაც, შეიძლება ნაკლებადაც არა. ჩვენში, მაგალითად, რა გულსმოდგინეთ მუშაობს მიწის მუშა! მაგრამ შრომასა და მუშაობას შორის განსხვავებაა. მუშაობა სხვა არის. მუშაობს ცხენიც, მუშაობს ორთქლიც მანქანაში, მუშაობს ქარიც, როდესაც მიაქვს იალქნიანი გემი, ან ატრიალებს წისქვილს ფრთებს. მუშაობს ტვირთის მზიდველი მუშაც, როდესაც გადააქვს ზურგით 10, 15 ფუთი გარგი. ყოველივე ეს მუშაობაა, – მუშაობა ტლანქი, ფიზიკური.

» ამერიკა ამიტომ სცდილობს გააღვიძოს ცხოვრება, გამოიწვიოს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ხელუხლებელი ძალები ხალხის გონებისა, გამართოს სკოლები, როგორც საუკეთესო გამომაღვიძებელი ხალხის ენერგიისა და გონებისა.

შაც, როდესაც გადააქვს ზურგით 10, 15 ფუთი ბარგი. ყოველივე ეს მუშაობაა, — მუშაობა ტლანქი, ფიზიკური.

შრომა სხვა არის — შრომა — ეს უკვე გაუმჯობესებული მუშაობაა, შეერთებული განათლებულ გონებასთან. შრომა მუშაობაა, სადაც საყურადღებოა ის კი არა, რამდენი კაცი გაიწვალება და დაიქანცება სხეულით, არამედ ის, რამოდენა გონებაა იქ ნახმარი. ამიტომ ცხოვრება დუღს და მიდის წინ იქ კი არა, სადაც ბევრს მუშაობენ, ხარჯავენ ტლანქ ძალას, არამედ იქ, სადაც ბევრს შრომობენ, ამოძრავებენ ხალხის გონებას.

ადამიანს რომ ვუცქერდეთ მხოლოდ ეკონომიურს თვალსაზრისით, მისგან მოტანილი სარგებლობის მიხედვით, მაშინაც კი ხალხი მოითხოვს რაც კი შეიძლება მომეტებულ ყურადღებას თავის განვითარებაზე. დედამიწა რომ დასტოვო თავის ანაბარად, — ის მხოლოდ ტყით და ბურჩქნარებით გაივსება, და შეიძლება მოსათიბი ბალახიც მოგცეს. სარგებლობა იქნება, მაგრამ დიდი არა. აბა ახლა იგივე მიწა მოხანი, მოუარე, დათესე კარგი თესლეული, — სარგებელი იქნება გაცილებით მეტი, თუ კიდევ მეურნეობას სამაგალითოდ დააყენებ, მაშინ ხომ ცხოვრება უფრო გაადვილდება.

შეერთებულ შტატებში ეს მშვენივრად აქვთ შეგნებული. იქ პირდაპირ უგუნურად ჩაგაგდებენ, რომ შეხედო ადამიანს, როგორც ტლანქ და სამუშაო ძალას. ამას მიიჩნევდნენ იმის მზგავსად, როგორც ვინმეს რომ წიგნებით გაეკრა კედლები (შპალიერის მაგივრად), და ხორბლით გაეხურებინა ბუხარი. ეჭვი არ არის, დათბებოდა, მაგრამ ხორბლის უფრო კარგად მოხმარება სხვანაირადაც შეიძლებოდა.

ამიტომ შეერთებულ შტატებში სცდილობენ ისარგებლონ ადამიანით, რაც შეიძლება უკეთესად. ამაზეა მიქცეული მთელი იმ მხარის მეცადინეობა. ხალხის განათლება იქ არის მიჩნეული საფუძველად აღყვავებისა. არც ერთი სხვა წარმოება არა სდგას ისე მაღლა ამერიკაში, როგორც ტვინისა, თუ შეიძლება ასე თქმა. იქ არ ზოგვენ საშუალებას, რაც შეიძლება, ძლიერათ აანთონ ხალხის აზრი, ხმარობენ ყოველგვარ მეცადინობას, რომ ალადინის ლამპას მისცენ დიდი ბრწყინვალება.


შეერთებულ შტატებში ეს მშვენივრად
აქვთ შეგნებული. იქ პირდაპირ უგუ-
ნურად ჩაგაგდებენ, რომ შეხედო ადა-
მიანს, როგორც ტლანქ და სამუშაო
ძალას. ამას მიიჩნევდნენ იმის მზგავსად,
როგორც ვინმეს რომ წიგნებით გაეკრა
კედლები (შპალიერის მაგივრად), და
ხორბლით გაეხურებინა ბუხარი. ეჭვი არ
არის, დათბებოდა, მაგრამ ხორბლის უფ-
რო კარგად მოხმარება სხვანაირადაც შეი-
ძლებოდა.
ამიტომ შეერთებულ შტატებში სცდი-
ლობენ ისარგებლონ ადამიანით, რაც
შეიძლება უკეთესად. ამაზეა მიქცეული
მთელი იმ მხარის მეცადინეობა. ხალხის
განათლება იქ არის მიჩნეული საფუძვე-
ლად აღყვავებისა. არც ერთი სხვა წარმო-
ება არა სდგას ისე მაღლა ამერიკაში,
როგორც ტვინისა, თუ შეიძლება ასე
თქმა. იქ არ ზოგვენ საშუალებას, რაც
შეიძლება, ძლიერათ აანთონ ხალხის აზრი,
ხმარობენ ყოველგვარ მეცადინობას, რომ
ალადინის ლამპას მისცენ დიდი ბრწყინ-
ვალება.

ისე მაღლა ამერიკაში, როგორც ტვინისა, თუ შეიძლება ასე თქმა. იქ არ ზოგვენ საშუალებას, რაც შეიძლება ძლიერათ აანთონ ხალხის აზრი, ხმარობენ ყოველგვარ მეცადინეობას, რომ ალადინის ლამპას მისცენ დიდი ბრწყინვალება.

„ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, — ამბობს პროფესორი ოზეროვი, — არის დარჩენილი კიდევ ბლომად ღამის მშიშარა ფრინველები, რომლებსაც ეშინიანთ ხალხის გონების სინათლის ალისა, სცდილობენ, ჩააქრონ იგი. როგორც კი გამოსჩნდებიან საუკეთესო მეგობრები ხალხისა, საუკეთესო შვილები სამშობლოსი, რომლებსაც უნდათ, მაღლა ასწიონ განათლება მთელი მხარისა, — ისინი მაშინვე ყვირიან: „არიქა, ყარაულებო!“ და უძახიან ცეცხლის-მქრობელ რაზმებს ყველა მხრიდან და აქრობინებენ. ამბობენ, განათლება სპობს ცხოვრების ძველ, კეთილ წესებსო“.

ამერიკა გულადია. მას არ ეშინია აზრისა და განათლების ცეცხლისა. იქ ამბობენ: „ოქრო, წმინდა, ნამდვილი ოქრო არასოდეს არ დაიწვის, ცხოველი საუკუნო-საუკუნოდ იცხოვრებს; და თუ რაიმე დაიწვის, ეს იქნება მკვდარი, უვარგისი. დაიწვის მჩვარი, და არა ოქრო. ძველი მჩვრები უმჯობესია დაიწვას, მინამ მუდამ იღრჩოლოს.“

ამერიკა ამიტომ სცდილობს გააღვიძოს ცხოვრება, გამოიწვიოს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ხელუხლებელი ძალები ხალხის გონებისა, გამართოს სკოლები, როგორც საუკეთესო გამომაღვიძებელი ხალხის ენერგიისა და გონებისა.

შეერთებულს შტატებში 75 მილიონი მცხოვრებელზედ ყოველ წლობით მოდის 151/2 მილიონი მოწაფე დაბალ და საშუალო სასწავლებლებლისა; და თუ ამას მიუმატებთ უმაღლესს და სპეციალურ სასწავლებლებს, მაშინ მოსწავლეთა რიცხვი ავა 171/2 მილიონამდის. მასწავლებლების რიცხვს შეადგენს 421,288 კაცი.

აი, ქვეყანა: სალდათი ასი ათასია, ხო-

ლო მასწავლებელი ოთხას ოცი ათასი. ერთ სალდათზე მოდის ოთხ მასწავლებელზე მეტი. ყველა სკოლის შენობები 1900 წელში იყო 247,321.

სკოლის საკუთრება ფასობს ათას მილიონ მანეთზედ მეტი. მასწავლებლების ჯამაგირზე იხარჯება 250 მილიონი წელიწადში, – ხოლო მთლად სკოლის საქმეზე – ოთხას მილიონზე მეტი წელიწადში. მარტოოდენ უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები 1900 წელს ითვლებოდა 629.

ეს არის სახელმწიფოს ხარჯი ხალხის განათლებაზე; ხოლო რამდენს სწირავენ კიდევ კერძო პირები! ერთ-ორი მილიონი მანეთი ბიბლიოთეკებზედ, მეორე მილიონი სკოლებზედ, მესამე – სამი მილიონი ობსერვატორიაზე და სხვა. აი, მაგალითად, მოკლე სია იმისი, თურამდენი შესწირა რამდენიმე წლის განმავლობაში ერთმა კაცმა – კარნეჯიმ, 1899 წელს იმან ერთბაშად შესწირა შვიდი მილიონი მანეთი 34 სახალხო ბიბლიოთეკას, ხოლო 1900 წელს ამას მიუმატა კიდევ 1 მილიონი შვიდას ოცდა ათი ათასი. შემდეგ 1901 წელს იგი სწირავს ნიუიორკის საქალაქო ბიბლიოთეკებზედ 101/2 მილიონს, სანლუის ბიბლიოთეკას – 2 მილიონ მანეთს, სანფრანციკოს ბიბლიოთეკას – 11/2 მილიონ მანეთს. ამნაირათ, იმან სულ შესწირა 50 მილიონი მანეთი. ეს მხოლოდ ერთმა პირმა. ასეთი პირები, თუმცა ამდენი შემწირველი – კი არა, ასობით არის, ცოტას შემწირავნი – ათასობით.

მართლაც, ყველა ეს რა საზღაპრო ციფრებია, რა საარაკო ჯამებია! თითქოს მართლა ალადინის ლამფის სულები მოქმედებდნენ. გახეხს ალადინი ლამფას, გამოჩნდება შემძლებელი სული, ათასობით მრავლდება სკოლები, მილიონობით მოწაფეები, მილიონიანი ბიბლიოთეკები. ზღაპრული კეთილ-დღეობა ქვეყნისა იზრდება. ხოლო კეთილდღეობა ნივთიერი ეს დასაწყისია მისი საბოლოვო კეთილდღეობისა. მშიერ-


თვითვეულ ხალხსაც შეუძლიან იყვეს
იგივე ალადინი. თვითვეულ ქვეყანაში,
ხალხის სულის სიღრმეში არის თავისი
ალადინისებური სამისნო ლამფა. საჭი-
როა მხოლოდ მისი ამოღება, „გაფერვა“,
მოწოდება მისი დაფარული შემძლე-
ბელი სულებისა. საჭიროა განვი-
თარება ხალხის გონებისა. საჭიროა ვუც-
ქერდეთ ხალხს არა მხოლოდ როგორც
ტლანქ მუშა ძალას, არამედ როგორც
გონიერ ძალას, რომელსაც შეუძლიან
მუდმივი და დაუსრულებელი განვითარე-
ბა და სრულ-ყოფა...
ვანათში ნამყოფი.

მა და აბრანძულმა ალადინმა, როგორც კი დაინახა ლამფის სული, რა თქმა უნდა, ყველაზე პირველად გაახსენდა სიმშილი და ტანთსაცმელი, მოსთხოვა მას ჯამა და ჩაცმა. შემდეგ – კი შინაგანი ცხოვრება მოაწესრიგა. არამც თუ გაძღა, არამედ დაიწყო გონივრულად სჯა, პატიოსნურად გრძნობა, ერთი სიტყვით, კეთილად დაიწყო ცხოვრება. რაც უფრო ბრწყინვალედ ხდებოდა ლამფა, მით მომეტებულად ნათლდებოდა სულით ალადინი, მით უფრო კეთილად ეწყობოდა მისი ცხოვრება.

თვითვეულ ხალხსაც შეუძლიან იყვეს იგივე ალადინი. თვითვეულ ქვეყანაში, ხალხის სულის სიღრმეში არის თავისი ალადინისებური სამისნო ლამფა. საჭიროა მხოლოდ მისი ამოღება, „გაფერვა“, მოწოდება მისი დაფარული შემძლებელი სულებისა. საჭიროა განვითარება ხალხის გონებისა. საჭიროა ვუცქერდეთ ხალხს არა მხოლოდ როგორც ტლანქ მუშა ძალას, არამედ როგორც გონიერ ძალას, რომელსაც შეუძლიან მუდმივი და დაუსრულებელი განვითარება და სრულყოფა...

ვანათში ნამყოფი

გერიკა შუკაკიძე

მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრის დირექტორი

საგანმანათლებლო ლიდერის ძირითადი საზრუნავი: სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობა მხოლოდ ერთ რომელიმე დამოუკიდებელ ცვლადზე (ჩვენს შემთხვევაში, სასკოლო ან/და ეროვნული სასწავლო გეგმა) არ არის დამოკიდებული და სხვა მრავალ ცვლადს აქვს მასზე გავლენა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე (განსაკუთრებით, სწავლა-სწავლების პროცესზე) ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენა ეფექტურ, ფუნქციურ სასკოლო სასწავლო გეგმას აქვს.

ეს ტენდენცია უნივერსალურია მსოფლიო მასშტაბით. სამხრეთ კორეის განათლების განვითარების ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, განათლების რეფორმის დაგეგმვისა და ინიცირებისას, განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებმა და გადაწყვეტილების მიმღებებმა ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ, ეროვნული სასწავლო და, შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა იყოს. აქვე საჭიროა, შევნიშნოთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობა მხოლოდ ერთ რომელიმე დამოუკიდებელ ცვლადზე (ჩვენს შემთხვევაში, სასკოლო ან/და ეროვნული სასწავლო გეგმა) არ არის დამოკიდებული და სხვა მრავალ ცვლადს აქვს მასზე გავლენა.

თუ რას უნდა პასუხობდეს სასკოლო სასწავლო გეგმა, ამაზე ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი. მანამდე კი ორ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ.

1. კურიკულუმის დაგეგმვითი და დაკვეთის კონტექსტი:

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, გავარკვიოთ, ვისგან უნდა მოდიოდეს დაკვეთა და რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს სასწავლო გეგმა. ან, უკეთ რომ ვთქვათ, რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს მოსწავლემ სკოლაში. ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება სინგაპურის მაგალითი, რომელიც დღემდე მრავალი სპეციალისტის შესწავლის საგანია. საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობენ ეშტონი და სანგი (2007) (ციტირებულია შუკაკიძესთან, 2012). მათი აზრით, „აზიის ვეფხვების“ შემთხვევაში, განათლების სექტორისა და ინდუსტრიის განვითარება სრულიად განსხვავებულად განვითარდა. შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში (პირველი ინდუსტრიული ქვეყნები) განათლების სექტორი ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღის შემდგომ განვითარდა. ამ ქვეყნების მანუფაქტურული წარმოების პროდუქტები აშკარა უპირატესობით სარგებლობდნენ, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკების მიერ ნაწარმოები ხელნაკეთი პროდუქცია. ინდუსტრიალიზაციის მეორე ტალღის (მე-19 საუკუნის ბოლო, მე-20 საუკუნის დასაწყისი) ქვეყნების კომპანიებს

(გერმანია, იაპონია და საფრანგეთი) მოუწიათ მსოფლიო ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ ამერიკულ და ბრიტანულ საქონელთან კონკურენციის გაწევა. უფრო მეტად გაუჭირდათ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციაში ჩართვა ინდუსტრიალიზაციის მესამე ტალღის ქვეყნებს, რომლებსაც მიეკუთვნებიან „აზიის ვეფხვები“.

მსოფლიო ბაზარზე შექმნილმა სწორედ ასეთმა არაორდინალურმა სიტუაციამ განაპირობა განათლებისა და წარმოების სექტორების ურთიერთობის სპეციფიკური მიდგომის ფორმირება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება სინგაპურის განათლებისა და წარმოების სექტორების ურთიერთდამოკიდებულება, რადგან „აზიის ვეფხვებიდან“ სინგაპურს აქვს ყველაზე განვითარებული ტრენინგისა და გადამზადების პროგრამები და, ასევე, მისი განათლების სისტემაში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამები ყველაზე მეტად ითვალისწინებს წარმოების მოთხოვნებს, განავითაროს მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უმეტესობა შესაბამისი სამსახურების შეკვეთით ცდილობს იმ პროფესიათა ჩამონათვალის პროგნოზირებას, რომლებიც მოთხოვნადი იქნება უახლოეს მომავალში. სწორედ ეს უნდა გახდეს ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტი, რომელსაც უნდა დაეყრდნონ განათლების პოლიტიკის შემქმნელები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობის დროს.

ამ ტიპის კვლევები ხშირად ტარდება შეერთებულ შტატებში არა მხოლოდ ეროვნული მასშტაბით, არამედ ცალკეული შტატის დონეზეც კი, მათი მკვეთრად განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობის გამო. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში ამ ტიპის კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა საინტერესო იქნებოდა ამ ტიპის ინფორმაცია როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექტორები ხშირად ეკონომიკური ცვლილებების ინიციატივის ავტორებად გვევლინებიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მომავალში დასაქმების ბაზარზე აქტუალურ პროფესიათა ჩამონათვალის ზუსტი პროგნოზი, რამდენიმე რეგიონის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორებს შეუძლიათ, ხელში აიღონ ინიციატივა და მოახდინონ სასწავლო სასკოლო გეგმის მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომდინარე, ან უკეთ რომ ვთქვათ, ისეთი დოკუმენტის

შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეებში ისეთი უნარ-ჩვევების (სხვა დანარჩენ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებთან ერთად) ჩამოყალიბებასა და ცოდნით აღჭურვას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას, ახალი ბიზნესინიციატივების წამოწყებას, დამოუკიდებელ მეწარმედ ჩამოყალიბებას.

როგორც საფრანგეთის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, საფრანგეთის ღვინის მწარმოებელი რეგიონების სკოლებში წახალისებულია ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმების დანერგვა, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივ მოსწავლეებს, წარმატებით განაგრძონ და განავითარონ რეგიონში მეღვინეობასთან დაკავშირებული ბიზნესები. კარგი იქნება მათი გამოცდილების გაზიარება კახეთის რეგიონის სკოლებისათვის.

2. კურიკულუმის დაგეგმვის დონეები და ძირითადი აქტორები

ძირითადად, ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ცენტრალურ დონეზე შემუშავებული ეროვნული

საფრანგეთის ღვინის მწარმოებელი რეგიონების სკოლებში წახალისებულია ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმების დანერგვა, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივ მოსწავლეებს, წარმატებით განაგრძონ და განავითარონ რეგიონში მეღვინეობასთან დაკავშირებული ბიზნესები.

» მასწავლებელთა მიერ შერჩეულ სასკოლო სასწავლო გეგმის კონტექსტზე დიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა მახასიათებლებს, მათ მომზადებას, ინდივიდუალურ ინტერესებს; აგრეთვე, ქვეყნის, რეგიონის, მშობლებისა და ადმინისტრაციის მოლოდინებს სკოლის მიმართ. დღესდღეობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში შიშობენ, რომ განათლების ხარისხის საზომად სტანდარტიზებული ტესტის ქულებისათვის ცალსახა მნიშვნელობის მინიჭებამ ტესტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების ტიპის ჩამოყალიბება გამოიწვია.

სასწავლო გეგმით (კურიკულუმით) სარგებლობენ. ქვეყნების იმ ნაწილში, სადაც უფრო მეტად ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემებია, სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმა მხოლოდ მცირე ცვლილებებს განიცდის. განათლების დეცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში კი უფრო მეტია სკოლებზე გადაცემული დისკრეცია სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირებისა და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებისათვის.

როგორც გლიკმანი და გორდონი (1998) კვლევებზე დაფუძნებით ამტკიცებენ, სასკოლო სასწავლო გეგმა წარმატებით განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ჩართულია გეგმის შემუშავებაში და უფლება ეძლევა, კონკრეტული კლასისა და სკოლის საჭიროების მიხედვით მოახდინოს მისი მოდიფიცირება. მკვლევრები საკმაოდ საყურადღებო რჩევას აძლევენ განათლების ადმინისტრატორებს:

> სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში უნდა ჩამოაყალიბონ სასკოლო სასწავლო გეგმის:
>
> - მიზანი
> - შინაარსი
> - ფორმატი
> - ორგანიზაციული მხარე
>
> მუშაობის პროცესში მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ორი მნიშვნელოვანი რამ:
>
> 1. თურა არის მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი;
> 2. თუ რამდენად გაიზარდა მასწავლებლის წვლილი გეგმის შემუშავებაში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ მასწავლებელზე ასეთი დიდი პასუხისმგებლობის დაკისრებამ, შესაძლებელია, სწავლის შედეგების შემცირება გამოიწვიოს. მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო გეგმას იმ არჩევანის მიხედვით, რომელიც დამყარებულია მოსწავლეების აქტივობების, გეგმის შინაარსის, სასწავლო მასალების, პრეზენტაციების სახეობებისა და შეფასებების მეთოდებზე. მასწავლებელთა მიერ შერჩეულ სასკოლო სასწავლო გეგმის კონტექსტზე დიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა მახასიათებლებს, მათ მომზადებას, ინდივიდუალურ ინტერესებს; აგრეთვე, ქვეყნის, რეგიონის, მშობლებისა და ადმინისტრაციის მოლოდინებს სკოლის მიმართ.

დღესდღეობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში შიშობენ, რომ განათლების ხარისხის საზომად სტანდარტიზებული ტესტის ქულებისათვის ცალსახა მნიშვნელობის მინიჭებამ ტესტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების ტიპის ჩამოყალიბება გამოიწვია. მეტიც, მასწავლებლების გარკვეული ნაწილი შემჩნეულია ტესტის ქულების გაყალბებასა და ტესტის პასუხების გამოცდამდე მოსწავლეებისთვის მიწოდებაში (ამ ბრალდებით 2013 წელს ატლანტის სასკოლო ოლქის 12 მასწავლებელი დააპატიმრეს). ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე მაღალია OECD-ის მიერ ორგანიზებული PISA-ს საერთაშორისო შეფასებაში მიღებული შედეგების გავლენა ქვეყნების განათლების პოლიტიკის ფორმირებაში. არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ მიუხედავად აღნიშნული ტესტის საკმაოდ მაღალი ვალიდურობისა და რეპუტაციისა, ბოლო პერიოდში შეინიშნება მთელი რიგი ქვეყნების მიერ ამ ტესტის მიდგომებისა და ფორმატის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესის განსაზღვრა (შტრაუსი, 2014).

ჯეიმს პოპჰამი (2010) ვარაუდობს, რომ მასწავლებელთა მიერ გაკეთებული არჩე-

ვანი დამოკიდებულია იმ ლიმიტზე, ტესტირების პროგრამებსა და სახელმძღვანელოთა ადაპტაციაზე, რომლებსაც მათთვის განკუთვნილი სასწავლო გეგმა აწესებს. შესაბამისად, კიდევ უფრო ნათლად იკვეთება სასწავლო გეგმის მნიშვნელობის საკითხი.

სკოლის ადმინისტრირება გულისხმობს მომსახურე პერსონალთან ფართომასშტაბიან, მაგრამ სპეციფიკურ მუშაობას და სკოლის დირექტორი ვერ იქნება ყველა სფეროში საკმარისად გათვითცნობიერებული. მიუხედავად ამისა, მას უნდა გააჩნდეს სასწავლო გეგმისა და მისი მომცველი სფეროს მახასიათებლების ცოდნა, უნდა იცოდეს კრიტერიუმები, რის საფუძველზედაც მიიღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესისა და დაგეგმვის შესახებ. იგი, აგრეთვე, ინფორმირებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან და გამორჩეულ ასპექტებზე. სეიფჰარტი (1999) ამტკიცებს: იმის გამო, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, თავისთავად, მოიცავს საკმაო რაოდენობის ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობას და ერთფეროვნებით არ ხასიათდება, შედეგად ჩნდება კომპლექსური გადაწყვეტილებები. მათი სირთულე ღრმავდება იმ ფაქტის გამო, რომ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები ეხება ძირეულ ღირებულებებს, როგორებიც არის: სკოლის არსებობის მიზანი, მისია, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების როლი ამ ინსტიტუციის არსებობაში.

განათლების ღირებულებების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამო, ადამიანებს ხშირად არ აქვთ საერთო აზრი შეთავაზებულ სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსზე, სწავლის შედეგებსა და შეფასების სისტემაზე. შესაბამისად, სკოლის დირექტორების წინაშე ხშირად დგას კომპლექსური და მუდმივად ცვლადი ამოცანა, თუ რა გზებითა და მიდგომებით წარმართონ სასწავლო პროცესი. მდგომარეობა გაცილებით მძაფრდება, როდესაც ზოგიერთ სკოლაში ხდება შეთანხმებების გადახედვა და მხარეებისაგან პირობების განუწყვეტელი ცვლა, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს მასწავლებელთა შესაძლებლობების ლიმიტირებას, რათა მათ ჯეროვნად შეასრულონ სკოლის გარეთ საათებში თავიანთი მოვალეობები.

საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითს აღწერს სეიფჰარტი (1999) სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განვითარების იმ პროცესზე, რომელიც სკოლის დონეზე ხორციელდება და შესაძლებლობას აძლევს ყველა მონაწილეს, ჰქონდეთ თავიანთი ხედვები, რამდენად განსხვავებული, მრავალფეროვანი და ინდივიდის რწმენაზე დაფუძნებულიც არ უნდა იყოს ისინი. იგი, აგრეთვე, აღწერს პერსპექტივებს, რომლებზეც დაფუძნებულია სასწავლო გეგმის შემმუშავებელთა ხედვა.

სკოლის დონისათვის შესაბამისი სასწავლო გეგმის განვითარება და სასწავლო გეგმის განვითარებისათვის შემუშავებული ქმედებები მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, არსებულის დახვეწას, პრაქტიკაში ჯეროვნად გატარებას, მეორე მხრივ, ახალი, ინოვაციური შინაარსისა და მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მათ დანერგვას. სკოლის დონეზე ორივე აქტივობა შეიძლება დავუშვათ, თუმცა ზემოთ ხსენებულ დონეს მაინც ახასიათებს ის, რომ ნაკლებად ხდება არსებულის შეცვლა ან განსხვავებული, საპირისპირო ქმედებებით არსებულის ჩანაცვლება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც წესი, სკოლის დონისათვის შესაფერისი სასწავლო გეგმის განვითარების პროცესს აწარმოებს მასწავლებლების მცირე ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციისა და ოლქის კოორდინატორის დახმარებით. ისინი, უმეტესად, მუშაობენ ნახევარ განაკვეთზე

მასწავლებელთა მიერ გაკეთებული არჩევანი დამოკიდებულია იმ ლიმიტზე, ტესტირების პროგრამებსა და სახელმძღვანელოთა ადაპტაციაზე, რომლებსაც მათთვის განკუთვნილი სასწავლო გეგმა აწესებს.

» არსებობს მრავალი წყარო და ინფორმაცია, რომელიც სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფს ეხმარება, უკეთ გაიგოს, თუ რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს თითოეული საგნის სწავლებას მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე.

და ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების მეთოდური მასალების შექმნაზე.

ყოველივე ამის დასტურად მკვლევარს მოჰყავს ბალბოას საშუალო სკოლის მაგალითი (ქალაქ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი დიდი სკოლა), თუ როგორ წარმოადგინა სკოლის დირექტორმა პედაგოგების მიერ შექმნილი და განხორციელებული ახალი სასწავლო გეგმა.

როდესაც დირექტორმა ამ სკოლაში დაიწყო საქმიანობა, იგი წუხდა, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა უმუშევარიაო. იმ დროისთვის მოსწავლეების 7%-ზე ნაკლებმა შეძლო სწავლის გაგრძელება განათლების გასაღრმავებლად, მაგრამ 4 წლის შემდეგ ამ სკოლის კურსდამთავრებულთა 75%-მა შეძლო პროფესიულ სასწავლებლებში ან კოლეჯში სწავლის გაგრძელება.

დირექტორმა სასკოლო სასწავლო გეგმის შეცვლა დაიწყო შემდეგი ნაბიჯით: იგი ეკითხებოდა მასწავლებლებს, თურისი შესწავლა შეეძლოთ ან სურდათ მოსწავლეებს იმისათვის, რომ გამხდარიყვნენ წარმატებულნი. როდესაც მასწავლებლებმა დაასახელეს პირობები, რომ მოსწავლეს უნდა შეძლებოდა კითხვა, საუბარი და აზროვნება, მან ჰკითხა მასწავლებლებს, თუ სასწავლო კვირის რომელ დღეებში ასწავლიდნენ მათ ამ უნარებს და რა შეეძლოთ პედაგოგებს იმისათვის, რომ მოსწავლეები კარგად დაუფლებოდნენ კითხვას, საუბარი და აზროვნებას.

დირექტორი დაეხმარა მასწავლებლებს, რომ განეხორციელებინათ საჭირო ცვლილებები და ეფიქრათ არა მხოლოდ აწმყოზე, არამედ იმაზედაც, თუ რა შედეგს გამოიღებდა ეს ცვლილებები მომავალში. კათედრებმა შეიმუშავეს 5-წლიანი გეგმა. ისინი მასწავლებლებს განუწყვეტლივ ახსენებდნენ, რომ ცვლილება და შედეგი ერთ დღეში არ მიიღწევა, რამაც გამოიწვია მათი ოპტიმისტური მიდგომა ახალი გეგმის მიმართ. თუ ახალი პროგრამა რამდენიმე თვეში ვერ შეცვლიდა მოსწავლეებსა და სწავლის შედეგებს, ეს არ გამოიწვევდა მასწავლებელთა იმედგაცრუებასა და დემოტივაციას.

მასწავლებლებმა დაიწყეს შეფასების ინდიკატორების გამოყენება იმისათვის, რომ აღენუსხათ თითოეული მოსწავლის განვითარების შედეგი, თუ რომელი მოსწავლე უკეთ პასუხობდა მათ მიერ დასახულ ამოცანებს. როდესაც ინდიკატორი აჩვენებდა მოსწავლის ჩამორჩენას, მასწავლებლები მზად იყვნენ მის დასახმარებლად.

ის პროცედურები, რომელიც ბალბოას საშუალო სკოლის დირექტორმა განახორციელა იმისათვის, რომ ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა შეექმნა და განეხორციელებინა, ძალიან ჰგავდა დელავერის შტატის მიერ მიღებულ სტრატეგიას. ახალი, განსხვავებული გზის პროგრამაში დელავერის რეფორმატორებმა განათლების სისტემაში მომუშავე პერსონალისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ჩამოაყალიბეს სამი კითხვა. ამ სამ მთავარ კითხვას შემდეგ დაემატა ორი, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი. კომისიას დაევალა, შეეგროვებინა არსებული მონაცემები, რომლებიც კითხვებზე პასუხების შედეგად დაგროვდებოდა.

კონკრეტული სკოლის (ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით) სასწავლო გეგმის განვითარებისათვის შეთავაზებული იყო შემდეგი კითხვები:

1. რა უნდა იცოდეს ან შეძლოს მოსწავლემ, როდესაც იგი ამთავრებს სკოლას, ან სწავლების მაღალ საფეხურზე გადადის?
2. მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს როდის აქვს შესაძლებლობა მოსწავ-

აკადემიური, სასწავლო დრო ნიშნავს დროის ხარისხიან და შედეგიან გადანაწილებას სირთულეების მიხედვით, და არა ყველა მოსწავლის მხრიდან საერთო ამოცანაზე მკაცრად თანაბარი დროის ხარჯვას. სასწავლო გეგმებზე მუშაობის პროცესში დროის რაციონალურად და ეფექტიანად განსაზღვრა დააჩქარებს დასახული მიზნების მიღწევას სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა აქტორისათვის.

ლეს, რომ შეიძინოს საჭირო ცოდნა და უნარი?

3. როგორ შეგვეძლება გავიგოთ, თუ როდის ისწავლა ყველა მოსწავლემ მიწოდებული მასალა?
4. რა შეიძლება გააკეთოს სკოლის პერსონალმა იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს მიწოდებული მასალის უკეთ შესწავლა?
5. რა დამატებითი მასალა სჭირდება მასწავლებელს იმ საკითხების მოსამზადებლად, რომელიც პირველ კითხვაშია ასახული?

არსებობს მრავალი წყარო და ინფორმაცია, რომელიც სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფს ეხმარება, უკეთ გაიგოს, თუ რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს თითოეული საგნის სწავლებას მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. პროფესიონალური ასოციაციების (როგორიც არის: აშშ-ს მათემატიკის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო (1989), ხელოვნების ეროვნული განათლების ასოციაციის კონსორციუმი, ამერიკის სასწავლო გეგმისა და განვითარების ასოციაცია, სკოლებში ისტორიის სწავლების ეროვნული ცენტრი (1996), სოციალური მეცნიერებების ეროვნული საბჭო (1994) და ინგლისურის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო) გამოცემებში რეკომენდებულია ასოციაციათა შესაბამისი საგნის მასალის სტანდარტები.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ ინაწილის განათლების რეგიონულმა ლაბორატორიამ დაიწყო საგნობრივი ასოციაციებისა და სახელმწიფო კომისიების მიერ გამოქვეყნებულ მასალაში არსებული რეკომენდაციების სინთეზირება. ამ რეკომენდაციებით იქმნება მონაცემთა ბაზა, რომელიც თავს მოუყრის იმ რჩევებსა და სასწავლო პროცესის სტანდარტებს, რომლებიც მიღებულია ამ ორგანიზაციებისა და სააგენტოების მიერ. სინთეზირების დასრულების შემდეგ მონაცემთა ბაზის გამოყენება შეეძლებათ სკოლებსა და ოლქებს, როგორც სასწავლო გეგმის შემუშავების ერთ-ერთი წყარო (მარზანო, 1995).

დრო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რამდენის სწავლა შეუძლია მოსწავლეს. სწავლებისათვის გამოყოფილ დროს განსაზღვრავს სწავლის დღეები და საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა, რომელიც არის სწავლებისათვის განკუთვნილი უმაღლესი ლიმიტი. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სწავლისათვის გამოყოფილი დრო, ხშირ შემთხვევაში, სრულად და მიზნობრივად არ არის გამოყენებული. ზოგი იკარგება მენეჯერული ტიპის აქტივობებზე, ზოგიც უბრალოდ იფლანგება სკოლაში გადაადგილების, ჭამისა და ლოდინის დროს. კარვიტმა (ციტირებულია გორდონთან და გლიკმანთან, 1998) გამოთვალა, რომ სწავლებისათვის განკუთვნილი დროის ერთი მესამედი იკარგება ან შესვენებებსა და გაცდენებზე, ან მოსწავლეების უყურადღებობის გამო.

იმისათვის, რომ დახვეწილიყო სკოლებში დროის ეფექტურად მოხმარება და ამ საკითხის მიმართ, ზოგადად, წარმოდგენა, მასწავლებლის ეფექტურობის საკითხის მკვლევრებმა შექმნეს ძლიერი, კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც დაეხმარება განათლების მესვეურებს დროის უკეთესად ათვისებაში—აკადემიური, სასწავლო დრო ნიშნავს დროის ხარისხიან და შედეგიან გადანაწილებას სირთულეების მიხედვით, და არა ყველა მოსწავლის მხრიდან საერთო ამოცანაზე მკაცრად თანაბარი დროის ხარჯვას. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სასწავლო გეგმებზე მუშაობის პროცესში დროის რაციონალურად და ეფექტიანად განსაზღვრა დააჩქარებს დასახული მიზნების მიღწევას სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა აქტორისათვის.

განათლების სისტემის მოკლე ისტორია შეერთებულ შტატებში

1871-2021

ვენდი ა. პატერსონი

1800-იანი წლების შუა პერიოდისთვის, შტატების უმეტესობამ მიიღო სამი ძირითადი დაშვება, როგორც საბაზისო პრინციპი, რომელიც დაარეგულირებდა საჯარო განათლების მართვას: 1. სკოლების თავისუფლება და მათი მხარდაჭერა გადასახადებით; 2. მასწავლებლების გადამზადება და 3. ბავშვების სკოლაში სიარული.

1600-იან და 1700-იან წლებში ამერიკაში, პირველ და მეორე ინდუსტრიულ რევოლუციამდე, განათლების მიღების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რეგიონის, რასის, სქესისა და სოციალური კლასის მიხედვით.

ამ დროს საჯარო განათლება, ახალი ინგლისის მსგავსად, კლასობრივ კონცეფციას იყო დაფუძნებული და მუშათა კლასი ძალიან იშვიათად თუ სარგებლობდა ამ შესაძლებლობით. ადგილობრივ დონეზე განისაზღვრებოდა სწავლების სტილი და კურიკულუმის ხასიათი. თავად მასწავლებლებისგან კი მოელოდნენ მკაცრი მორალური ქცევის ნიმუშებს.

1800-იანი წლების შუა პერიოდისთვის, შტატების უმეტესობამ მიიღო სამი ძირითადი დაშვება, როგორც საბაზისო პრინციპი, რომელიც დაარეგულირებდა საჯარო განათლების მართვას: 1. სკოლების თავისუფლება და მათი მხარდაჭერა გადასახადებით; 2. მასწავლებლების გადამზადება და 3. ბავშვების სკოლაში სიარული.

„ნორმალური სკოლა“

ტერმინი „ნორმალური სკოლა“ ეფუძნება ფრანგულ école normale-ს, მე-16 საუკუნის სამოდელო სკოლას სამოდელო საკლასო ოთახებით, სადაც მასწავლებლობის კანდიდატები სწავლობდნენ სწავლების საინიმუშო პრაქტიკას. ეს, ერთგვარად, იყო სკოლა-ლაბორატორია, სადაც ასწავლიდნენ როგორც დაწყებითი, ისე საშუალო სკოლის ბავშვებს და სადაც მათი მასწავლებლები და ამ მასწავლებლების მენტორები ერთ შენობაში, ერთად სწავლობდნენ.

მრავალი წლის განმავლობაში ევროპაში ჩვეულებრივ სკოლებში მხოლოდ მამაკაცებს იღებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ მამაკაცებს გაცილებით მეტი ინტელექტუალური და ერუდიციული შესაძლებლობები ჰქონდათ, ვიდრე ქალებს. ეს შეიცვალა (საბედნიეროდ!) მე-19 საუკუნეში, როდესაც ნელ-ნელა ქალები უფრო წარმატებული კერძო მასწავლებლები გახდნენ, ვიდრე მამაკაცები.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალი ინდუსტრიული ტალღებისთვის ევროპის ქვეყნებს სჭირდებოდათ სანდო, მდგრადი და ერთიანი სამუშაო ძალა. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლების მომზადებასულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. მომავალ მოქალაქეებში მორალური ქცევის სტანდარტების დანერგვის პროცესმა გამოიწვია პირველი

ერთიანი, ფორმალიზებული ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა. ამგვარად, „ჩვეულებრივ“ სკოლებს დაე-ვალათ, შეემუშავებინათ ახალი სასწავლო გეგმა და მეთოდები, რომლითაც მასწავლებლები ამ იდეებს, ქცევებსა და ღირებულებებს გადასცემდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც, ვარაუდობდნენ, რომ ფორმალური განათლების მეშვეობით შეძლებდნენ უკეთესი ცხოვრების ხარისხის მოპოვებას.



შეერთებულ შტატებში ე.წ. „ნორმალური სკოლები“, ძირითადად, საჯარო სკოლებისთვის დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მოსამზადებლად შეიქმნა. 1823 წელს სამუელ რიდ ჰოლმა დააარსა პირველი „ნორმალური“ კერძო სკოლა შეერთებულ შტატებში, კოლუმბიის სკოლა კონკორდში (ვერმონტი). ამის შემდეგ, მალევე დაარსდა შეერთებული შტატების პირველი „ნორმალური“ საჯარო სკოლა – 1839 წელს, ლექსინგტონში (მასაჩუსეტსი). როგორც საჯარო, ისე კერძო „ნორმალური სკოლები“ თავდაპირველად სთავაზობდნენ სწავლების ორწლიან კურსს, მაგრამ მეოცე საუკუნისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს უკვე, მინიმუმ, ოთხი წელი სჭირდებოდა. 1930-იანი წლებისთვის „ნორმალური სკოლების“ უმეტესობა „მასწავლებელთა კოლეჯებად“ გარდაიქმნა, ხოლო 1950-იანი წლებისთვის ისინი იქცნენ უნივერსიტეტების ცალკეულ აკადემიურ კომპონენტებად ან უნივერსიტეტების განათლების სკოლებად.

კანზასის შტატის „ნორმალური სკოლა“

კანზასში შტატის პირველი „ნორმალური სკოლა“ დაარსდა 1863 წელს, როგორც შტატის მასწავლებელთა მომზადების პირველი სკოლა (პირველმა დამამთავრებელმა კლასმა დიპლომები მიიღო 1865 წელს), შემდეგ მისი სახელი შეიცვალა კანზასის შტატის „ნორმალური კოლეჯით“ (1923 წელს), მოგვიანებით კი, 1974 წელს, კანზასის შტატის კოლეჯ ემპორიად გარდაიქმნა და 1977 წლიდან დღემდე კი ფუნქციონირებს, როგორც ემპორიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.



რა არის კარგი სწავლება?

რენესანსის შემდგომ, ძალიან დიდხანს, მასწავლებლებს ყველაზე ხშირად მეცნიერები ან სასულიერო პირები და, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცები წარმოადგენდ-

ნენ, რომლებიც აუცილებლად ელიტარული წრის სწავლულები იყვნენ. რაიმე სპეციალური ფორმალური მომზადების გარეშე იმის შესახებ, თუ როგორ ესწავლებინათ ის, რაც თავად ძალიან კარგად იცოდნენ. ბევრმა უტყუარ ჭეშმარიტებად მიიღო პოსტულატი, რომ „მასწავლებლებად იბადებიან, შემდეგ კი არ ყალიბდებიან“. მხოლოდ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც „პედაგოგიკამ“, „სწავლების ხელოვნებამ და მეცნიერებამ“ თეორიული პატივისცემა მოიპოვა, განათლებული ადამიანების მომზადება სწავლების მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში მეცნიერები ჯერ კიდევ კამათობდნენ „სწავლების მეცნიერების“ მეცნიერულ ბუნებაზე, ისინი, ვინც სწავლებას მეცნიერებად თვლიდნენ, აცხადებდნენ, რომ არსებობდა საფუძველი, მხარი დაეჭირათ თეორიისთვის, რომ ადამიანები შეიძლება „დაბადებულნი“ იყვნენ კარგ მასწავლებლად გახდომის სურვილით. დღესაც კი, როდესაც მასწავლებელთა განათლების პროგრამები პასუხისმგებელნი არიან აკრედიტაციის ცენტრების წინაშე იმის თაობაზე, თუ „რას“ ასწავლიან მასწავლებელს, „სწავლების უნარი“ ფართო განხილვის საგანია, ვინაიდან მნიშვნელოვანია მასწავლებლის კანდიდატობის რთულ პროფესიასთან შესაბამისობის შესაფასებლად. თუმცა პედაგოგიკა უკვე მე-19 საუკუნიდან ცდილობდა, დაედგინა მასწავლებლად გახდომისთვის საჭირო მინიმალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები თითქმის უცვლელი რჩება დღემდე, რადგან ისინი წარმოადგენს მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამების საფუძველს მთელი ქვეყნის მასშტაბით: საგნობრივი ცოდნა, სწავლების მეთოდების ცოდნა და ორივეში პრაქტიკული გამოცდილება კვლავ ნორმაა. აქედან გამომდინარე, პედაგოგიკისა და სასწავლო გეგმის „ნორმების“ დამკვიდრებამ, საიდანაც მომდინარეობს მასწავლებელთა საგანმანათლებლო დაწესებულებების თავდაპირველი სახელწოდება „ნორმალური სკოლა“, აღიარა ხარისხიანი განათლების ყველასთვის უზრუნველყოფის სოციალური სარგებელი და მორალური ღირებულება.

ბევრი სხვა ინოვაციისა და ტენდენციის მსგავსად, რომელმაც მოიცვა პოსტინდუსტრიული სამყარო მეოცე საუკუნეში, განათლებამაც განიცადა მრავალი ცვლილება. შეიქმნა ახალი ცოდნა და, შესაბამისად, ახალი ფუნდამენტი განათლების მეცნიერებაში. განათლებაში პროგრესული ეპოქის დიდი თეორეტიკოსებისა და რეფორმატორების სახელები ყველასთვის ცნობილია, ვინც მეტ-ნაკლებად ეხება განათლების საკითხებს: ჟან პიაჟე, ბენჯამინ ბლუმი, მარია მონტესორი, ჰორას მანი, ჯონ დიუი და მრავალი სხვა.

ჯერ კიდევ 1800-იან წლებში, მასწავლებლებმა გამოიკვლიეს საგანმანათლებლო შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. თომას გალუდეტმა შეიმუშავა მეთოდი ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა სწავლებისთვის. 1817 წელს მან გახსნა ჰარტფორდის ყრუთა სკოლა კონექტიკუტში. ექიმმა სამუელ ჰოუმ ყურადღება გაამახვილა მხედველობადაქვეითებულთა სწავლებაზე, წიგნების შექმნაზე, სადაც სიტყვები რელიეფურად დაიწერებოდა, რაც დაეხმარებოდა მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს თითებით „წაკითხვაში“. ჰოუ ხელმძღვანელობდა პერკინსის ინსტიტუტს, უსინათლოთა სკოლას ბოსტონში. როგორც წესი, ეს სკოლები წარმოადგენდა პანსიონებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. აღსანიშნავია, რომ პანსიონები ჯერ კიდევ არსებობს – კანზას ყრუთა სკოლა

» როგორც საჯარო, ისე კერძო „ნორმალური სკოლები“ თავდაპირველად სთავაზობდნენ სწავლების ორწლიან კურსს, მაგრამ მეოცე საუკუნისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს უკვე, მინიმუმ, ოთხი წელი სჭირდებოდა. 1930-იანი წლებისთვის „ნორმალური სკოლების“ უმეტესობა „მასწავლებელთა კოლეჯებად“ გარდაიქმნა, ხოლო 1950-იანი წლებისთვის ისინი იქცნენ უნივერსიტეტების ცალკეულ აკადემიურ კომპონენტებად ან უნივერსიტეტების განათლების სკოლებად.

ოლატეში, ჩრდილოეთ კაროლინაში და წმინდა მარიამის ყრუთა სკოლა ბუფალოში, ნიუ-იორკში. მაგრამ როდესაც ყველა კატეგორიის ბავშვთა განათლებამ მეოცე საუკუნეში გადმოინაცვლა, აღმოჩნდა, რომ ინკლუზიურმა პრაქტიკამ – სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ასწავლიდნენ ერთსა და იმავე საკლასო ოთახებში, ტიპური განვითარების თანატოლებთან ერთად, – შესანიშნავი შედეგი გამოიღო. სწორედ ეს არის დომინანტური პედაგოგიკა, მიდგომა, რომელსაც დღესაც მისდევენ.

საგანმანათლებლო რეფორმის მოძრაობამ მე-20 საუკუნეში შემოიტანა თანასწორობის, ბავშვზე ორიენტირებული სწავლის, მოსწავლის შეფასების, როგორც სწავლების ხარისხის ინდიკატორად აღქმა და სხვა რევოლუციური იდეები, როგორიცაა კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკა, განათლება, როგორც ადამიანის პიროვნების სრული განვითარება და საგანმანათლებლო შესაძლებლობები ყველა ადამიანისთვის. აქცენტი გაკეთდა მასწავლებლების მომზადებაზე ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენელ ბავშვებთან მუშაობისთვის, და არა მხოლოდ ელიტარული წრის ბავშვებთან სამუშაოდ.

ეს მოკლე ჩამონათვალი ცვლილებებისა, რომლებმაც ჩამოაყალიბა მასწავლებლის განათლება მეოცე საუკუნეში, ასახავს ქვეყნის ისტორიას პირველი მსოფლიო ომიდან, პოსტინდუსტრიული აფეთქებიდან მშფოთვარე 1960-იან წლებამდე, როდესაც სამოქალაქო უფლებებისა და ქალთა უფლებების მოძრაობები დომინირებდა პოლიტიკურ სცენაზე და სკოლები იქცნენ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ცვლილებების ინტეგრაციის საფუძვლად. სკოლების სეგრეგაციის საქმე გადაეცა უზენაეს სასამართლოს – 1954 წლის გახმაურებული საქმე „ბრაუნი ტოპეკას განათლების საბჭოს წინააღმდეგ“. ამ მონუმენტური გადაწყვეტილების შემდეგ სკოლებმა დაიწყეს დესეგრეგაციის მნიშვნელოვანი, მაგრამ ნელი პროცესი – პროცესი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში Sputnik-ის თაობის მეცნიერებისადმი პატივისცემამწარმოშვა ტერმინოლოგიური მსგავსება მასწავლებლების მომზადებასა და ექიმების მომზადებას შორის. „სკოლა ლაბორატორიები“ და რაოდენობრივი კვლევები, ექსპერიმენტული და კვაზი-ექსპერიმენტული ტექნიკის გამოყენებით კითხვისა

ეს, ერთგვარად, იყო სკოლა-ლაბორატორია, სადაც ასწავლიდნენ როგორც დაწყებითი, ისე საშუალო სკოლის გავშვებს და სადაც მათი მასწავლებლები და ამ მასწავლებლების მენტორები ერთ შენოგაში, ერთად სწავლობდნენ.

პედაგოგიკა უკვე მე-19 საუკუნიდან ცდილობდა, დაედგინა მასწავლებლად გახდომისთვის საჭირო მინიმალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები თითქმის უცვლელი რჩება დღემდე, რადგან ისინი წარმოადგენს მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამების საფუძველს.

და მათემატიკის პროგრამებისა და სხვა სასწავლო ინოვაციების შესამოწმებლად, ემსგავსებოდა სამედიცინო კვლევებში გამოყენებულ ექსპერიმენტულ ტექნიკას. მოსწავლეთა სწავლება ითვლებოდა „სტაჟირებად“, რაც ექიმების პრაქტიკის ეტაპებს ჰგავდა. თუმცა, ასეთი ტერმინოლოგია და პარალელები მედიცინასთან მოდიდან გადავარდა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში, მეცნიერებისა და პოზიტივიზმის ზოგად იმედგაცრუებასთან ერთად. საინტერესოა, რომ ეს პარალელები კვლავ გამოჩნდა დღეს, როდესაც ვსაუბრობთ მასწავლებელთა განათლების ჩვენს მოდელზე „კლინიკურად მდიდარ გარემოში“. ჩვენ კი დავუბრუნდით "სარეზიდენციო" პროგრამებს, სადაც მასწავლებელთა კანდიდატები სწავლობენ ექსკლუზიურად იმ სკოლებში, სადაც ისინი საბოლოოდ ასწავლიან.

იმის პარალელურად, რომ სკოლები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდნენ პოსტინდუსტრიული ეკონომიკისთვის და ყველა ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობისთვის, სწავლებაც სულ უფრო მეტად რეგულირებული პროცესი ხდებოდა. მეოცე საუკუნის ბოლოსთვის საჯარო განათლებაში ლიცენზირების მოთხოვნები გაცილებით გამკაცრდა და ხელფასები და დაწინაურება ხშირად იყო დამოკიდებული სკოლებში ხარისხისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. დღეს კი, ყველა კოლეჯისა და უნივერსიტეტის მასწავლებელთა მომზადების პროგრამამ უნდა დაიცვას შტატის განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ვრცელი და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რას უნდა მოიცავდეს ეს პროგრამები. დამატებით, ისეთი კომპონენტები, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სწავლება და ინგლისური ენის შემსწავლელების მხარდაჭერა, არის მოთხოვნები, რომლებიც ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ცვალებად საჭიროებებს.

როგორც შეიცვალა სამყარო, ასე განიცადა ცვლილება მასწავლებლების მომზადებამაც. „ნორმალური სკოლის“ ასიმილაციამ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში განსაზღვრა მასწავლებლობის, როგორც პროფესიის ევოლუცია, რომლის სტაბილურად მზარდმა აღიარებამ უკანასკნელი 150 წლის მანძილზე საშუალება მისცა მასწავლებელს, როგორც მეცნიერს, გამოეკვლია, თუ როგორ მუშაობს სწავლება და სწავლა ტანდემში, და ეთქვა, რომ პედაგოგიკა არის დინამიკური და ურთიერთქმედებს სოციალურ-პოლიტიკურ ძალებთან; და რომ სკოლები თამაშობენ გადამწყვეტ როლს სოციალური სამართლიანობის დემოკრატიულ წინსვლაში.

სკოლის კაბინეტი და ალტერნატიული საკლასო სივრცეების ორგანიზება

60-იან და 70-იან წლებში ახალი ცნებები სკოლაში, როგორებიცაა მრავალდონიანი საკლასო ოთახები და ღია სივრცეები, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცნობისმოყვარეობას პროექტზე დაფუძნებული სწავლის გზით იკმაყოფილებდნენ, მთელ ქვეყანაში გავრცელდა. მაგალითად, ბუფალოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (ნიუ-იორკი), სკოლის კამპუსი იყენებდა კოლეჯის ბევრ რესურსს და წარმოადგენდა მასწავლებლების მომზადების კლინიკურ ადგილს. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთობლივ მეცადინეობას ატარებდნენ კოლეჯსა და ლაბორატორიაში. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ცალმხრივად გამჭვირვალე შუშის საშუალებით, სადაც მასწავლებლობის კანდიდატებს შეეძლოთ დაკვირვება და შემდგომ განხილვა, თუ რა ნახეს „სკოლა ლაბორატორიის“ მასწავლებელთან.

სტანდარტები და ნორმები

1980-იან წლებში ამერიკაში განათლება დაუბრუნდა „სტანდარტიზაციას“, მაგრამ ამჯერად სტანდარტები აღარ აფასებდნენ ერთ ბავშვს სხვების მიხედვით; უფრო მეტიც, თითოეული ბავშვი ფასდებოდა „ეროვნული სტანდარტების“ მიხედვით, რომლებიც თეორიულად განსაზღვრავდა ყველასთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

1983 წელს გამოქვეყნებულმა ანგარიშმა „ერი საფრთხის ქვეშ“ გააჩინა შიში ამერიკის, როგორც თავისუფალი სამყაროს ტექნოლოგიურად აღმატებული ლიდერის სტატუსის დაკარგვის შესახებ, ბნელ ჩრდილში მოაქცია სწავლება და სკოლები მრავალი წლის განმავლობაში. ამ ანგარიშის შემდგომ პერიოდში მასწავლებლობის, როგორც პროფესიის ირგვლივ ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა და მასწავლებლობა აღარ იყო კარიერული თვალსაზრისით სასურველი არჩევანი.

1998 წლისთვის თითქმის ყველა შტატმა განსაზღვრა ან დანერგა მათემატიკისა და კითხვის აკადემიური სტანდარტები. შეაფასეს დირექტორები და მასწავლებლები, მოსწავლეები დააწინაურეს ან გაუშვეს სკოლიდან და მიიღეს კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც საშუალო სკოლის მოსწავლეები იმის მიხედვით მიიღებდნენ ან ვერ მიიღებდნენ დიპლომს, თუ რამდენად დააკმაყოფილებდნენ სტანდარტებს, როგორც წესი, კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტით.

სტანდარტებზე დაფუძნებული კურიკულუმით სწავლების წნეხი, ყველა მოსწავლის შეფასება ყველასთვის თანაბარი განათლების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, გახდა განმაპირობებელი ზოგიერთი პრეზიდენტისა და განათლების მდივნის ცნობილი პოლიტიკისა მეოცე საუკუნის ბოლოს.

ეროვნული კომისიები და პოლიტიკის შემქმნელები დაუბრუნდნენ „ნორმალური სკოლის“ მოძრაობის ფესვებს და მოუწოდებდნენ მასწავლებელთა განათლების კოლეჯებს, ემუშავათ მასწავლებლობის კანდიდატებთან ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტებით. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ საგანმანათლებლო სამიტი წამოიწყო, რათა „ერი საფრთხის ქვეშ“ გამოქვეყნების შემდგომ არეული „საქმეები გამოესწორებინა“. სტანდარტებზე დაფუძნებული კურიკულუმი იქცა „მასწავლებლის მტკიცებულებების“ სისტემად, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ყველა ბავშვის, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიებისა, თანაბარი სწავლება. სკოლის დაგეგმვისადმი „კურიკულუმი უპირველეს ყოვლისა“ მიდგომა გაგრძელდა კლინტონის ადმინისტრაციისეული „დაწყებითი და საბაზო განათლების აქტით“, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისეული „არც ერთი ბავშვი განათლების მიღმა“ და ობამას ადმინისტრაციისეული ყველა მოსწავლის მიღწევაზე აქცენტირებული აქტით, ფედერალური დაფინანსების თანხლებით. სტანდარტებზე დაფუძნებული კურიკულუმების შემუშავებაზე მიმართულმა ამგვარმა მოძრაობებმა კიდევ ერთხელ მიმართა საჯარო ყურადღება შესაბამისობის, მიღწევისა და კონკურენციის საჭიროებაზე.

მასწავლებლებისთვის სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლების წნეხის შედეგად გამოწვეული ყველაზე მნიშვნელოვანი განვითარება ე.წ. Commom Core-ის გაჩენა იყო, გარკვეულწილად საკამათო საგანმანათლებლო სტანდარტების ეროვნული ნაკრების, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ ყველა მოსწავლეს მისცემოდა ერთნაირი, თანაბარი გამოცდილება საგულდაგულოდ შემუშავებული ჩარჩოს ფარგლებში, მიუხედავად განსხვავებული რასის, სქესის, ეკონომიკური, რეგიონული თუ სხვა კუთვ-

მეოცე საუკუნის ბოლოსთვის საჯარო განათლებაში ლიცენზირების მოთხოვნები გაცილებით გაგკაცრდა და ხელფასები და დაწინაურება ხშირად იყო დამოკიდებული სკოლებში ხარისხისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

» 1980-იან წლებში ამერიკაში განათლება დაუგრუნდა „სტანდარტიზაციას“, მაგრამ ამჯერად სტანდარტები აღარ აფასებდნენ ერთ ბავშვს სხვების მიხედვით; უფრო მეტიც, თითოეული ბავშვი ფასდებოდა „ეროვნული სტანდარტების“ მიხედვით, რომლებიც თეორიულად განსაზღვრავდა ყველასთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

ნილებისა. ეს მიდგომა იმდენად მკაცრად ფოკუსირებული იყო, რომ სკოლებმა დაიწყეს მასწავლებლებისათვის მზა მასალების მიწოდება, რათა უზრუნველ ეყოთ ერთი ენის, ერთი სტრატეგიის დანერგვა ყველა სკოლაში, თანაბარი შედეგის მისაღებად. ამან შეზღუდა მასწავლებელთა დამოუკიდებლობა და ენებისა და მათემატიკის სწავლებამ დაჩრდილა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური კვლევები, ხელოვნება და მუსიკა.

რა იქნება ზემდეგ?

ამგვარმა მიდგომებმა, ამ გზამ მოგვიყვანა დღევანდელ სკოლამდე, სადაც მასწავლებლები კვლავ მკაცრად პასუხისმგებელნი არიან დაეხმარონ მოსწავლეებს სტანდარტების მიღწევაში ან, უფრო სწორად, ეროვნული სტანდარტების მიღწევაში. ამასობაში, გამოჩნდა COVID-19 პანდემია. და ყველაფერი გაჩერდა.

კურიკულუმი, ტესტირება, მათი შესაბამისობის პრინციპები და სტანდარტები გამჭვირვალეა. პანდემიამ ახალი რეალობა შექმნა—მშობელს შეეძლო „შემოეხედა“ საკლასო ოთახში, მასწავლებელს კი— ამერიკულ სახლში. ტექნოლოგიების შედეგად

განათლებაში გაჩენილი ახალი შესაძლებლობების გამო, მასწავლებლობის კანდიდატებმა უნდა აღიქვან თავიანთი პროფესია, როგორც ციფრული სამყაროს მკვიდრებმა, რათა სრულფასოვნად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში და სათანადოდ დააინტერესონ თავიანთი მოსწავლეები.

2020-2021 წლებში, როდესაც მსოფლიო ცდილობდა ჩუმ მტერთან გამკლავებას, არაფერი იყო „ნორმალური“, „ნორმის ფარგლებში“. მაგრამ ამ ახალი გამოცდილებიდანაც მივიღეთ რაღაც ისეთი, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მასწავლებლების მომზადების პროგრამებში, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსების ჩამოსაყალიბებლად ახალი მსოფლიოსთვის, სადაც ცოდნა ყოველდღიურად ორმაგდება და სადაც პედაგოგიკა ჯერ კიდევ მეცნიერებაა. სწავლება მეცნიერებაა, მაგრამ, ამასთანავე, ხელობაა, რომელსაც ოსტატები და ქალები ასწავლიან და შეგირდები სწავლობენ.

თუმცა, საბოლოო ჯამში, ადრეულმა განმანათლებლებმაც კი იცოდნენ, რომ სწავლების ხელოვნება არის ის ეფემერული თვისებაც, რომელსაც ვერ ვასწავლით, მაგრამ რომელსაც ვაღიარებთ, როდესაც სამუშაო პროცესში ვხედავთ და რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე კომპეტენტურობა და რომელიც ქმნის დიდებულ მასწავლებელს.

მასწავლებლობას ყველაზე კეთილშობილურ პროფესიას უწოდებენ. პირველი სკოლებიდან, როდესაც ეს პროფესია ჩვენში ფეხს იდგამდა, დღემდე—ამერიკის ამჟამინდელ, პოსტკოვიდურ გამოწვევებამდე, ჩვენ არასოდეს შეგვიცვლია ეს რწმენა. კვლავ ვაკეთებთ იმას, რასაც ნობელის პრემიის ლაურეატის, მალალა იუსაფზაის სიტყვები მოგვიწოდებს: „ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს, ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს სამყარო“.

თარგმნა თეონა სილაგაძემ

ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა

ეკატერინე დაფქვიაშვილი
განათლების მკვლევარი

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტს ხარჯავენ განათლებისთვის, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შტატი დამოუკიდებლად განსაზღვრავს განათლების სისტემის სტრუქტურასა და საჯარო განათლების ფინანსებს. ამის შედეგი კი განათლების მიღების მრავალფეროვანი არჩევანი და განსხვავებული საფეხურებია. ზოგადად, სკოლაში სწავლა სავალდებულოა და განისაზღვრება 12 სასწავლო წლით, თუმცა აშშ-ს ზოგიერთ შტატში მოსწავლეს შეუძლია, ზოგად განათლებაზე უარი თქვას 14 წლის ასაკშიც. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მშობლის თანხმობა, ან თუ ის ცხოვრობს სკოლიდან ორ მილზე მეტი დაშორებით და არ აქვს წვდომა ტრანსპორტზე, მაგრამ ეს გამონაკლისს წარმოადგენს და შტატების უმეტესობაში ზოგადი განათლება სავალდებულოა 16-18 წლამდე.

2023 წლის OECD-ის მონაცემებს თუ ჩავხედავთ, ბევრ საინტერესო დეტალს აღმოვაჩენთ ამერიკის განათლების სისტემის შესახებ დასაფიქრებლად:

- ამერიკის შეერთებულ შტატებში 15-19 წლის ახალგაზრდების 58% სწავლობს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე;
- ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-34 წლის ახალგაზრდების 4%-ს აქვს მიღებული პროფესიული განათლება (VET);
- მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების დამამთავრებელი საფეხური ის საკმარისი კვალიფიკაციაა, რომ შრომის ბაზარზე დასაქმდეს პირი, ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-34 წლის ახალგაზრდების 6% არ აქვს მიღებული სრული ზოგადი განათლება. მაგრამ ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია OECD-ის საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე (14%);
- კორელაცია მიღებულ განათლებასა და შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობას შორის, ძალიან თვალსაჩინოა: 25-34 წლის პირები, ბაკალავრის საფეხურის კვალიფიკაციით, 63%-ით მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე მათი თანატოლები, მხოლოდ ზოგადი განათლების უმაღლესი საფეხურის განათლებით. რაც შეეხება მაგისტრატურის ან დოქტორანტურის ხარისხის მქონე პირებს, ისინი 100%-ით მეტს გამოიმუშავებენ;
- განათლების ყველა საფეხურზე, დაწყებითიდან უმაღლესამდე, შეერთებული შტატები ყოველწლიურად, დაახლოებით, 19 973 აშშ დოლარს ხარჯავს თი-

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ყველაზე მეტს ხარჯავენ განათლებისთვის, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შტატი დამოუკიდებლად განსაზღვრავს განათლების სისტემის სტრუქტურასა და საჯარო განათლების ფინანსებს.

» ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-34 წლის ახალგაზრდების 6 არ აქვს მიღებული სრული ზოგადი განათლება. მაგრამ ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი დაგალია OECD-ის საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე (14%).

თოეულ მოსწავლეზე/ სტუდენტზე (აქ იგულისხმება, როგორც კვლევითი, ისე პროფესიული განვითარების კომპონენტი). ამ მიმართულებით, OECD-ის საშუალო მაჩვენებელი არის 12,647 აშშ დოლარი. შტატების დანახარჯები ერთ მსწავლელზე შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 31%-ს, რაც აღემატება OECD-ის საშუალო მაჩვენებელს (27%);

- მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის გათვალისწინებაც, რომ შეერთებულ შტატებში სრული განაკვეთის სემესტრულ პროგრამებზე თითო მასწავლებელზე, დაახლოებით, 15 მოსწავლე მოდის (OECD-ის საშუალო – 14 მსწავლელია ერთ სასწავლო პერსონალზე).

საგანმანათლებლო დაწესებულებების თვალსაზრისით, არსებობს ზოგადი განათლების მიღების სამი ძირითადი შესაძლებლობა: საჯარო სკოლები, რომლებიც დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ; კერძო სკოლები, რომლითაც სარგებლობს მოსწავლეთა 10%; შინ სწავლება, ე.წ Home schooling, რომლის პოპულარობაც აშშ-ში თანდათან უფრო იმატებს და ამჟამად 1,5 მილიონი მოსწავლე სარგებლობს ამ შესაძლებლობით (https://elabedu.eu).

კერძო სკოლებში განათლების მიღება წელიწადში 10 000$-დან 20 000$-მდე ღირს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში. კერძო სკოლები შესაძლებელია იყოს რელიგიური ხასიათის, კომერციული და არაკომერციული.

იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო სკოლების ძირითადი დაფინანსება ხდება ერთობლივად, შტატისა და ფედერალური ქონების გადასახადიდან, ცხადია, რომ მნიშვნელოვანი სხვაობებია რაიონის/ოლქების ბიუჯეტებს შორის და შედარებით ღარიბ რაიონებს/ოლქებს ერთ მოსწავლეზე უფრო ნაკლები დაფინანსების განსაზღვრის საშუალება აქვთ, ვიდრე – მდიდარს. სკოლის ადგილობრივი ოლქის საბჭოები განკარგავენ სკოლების ფინანსებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი განსხვავებებია სასწავლო გეგმებსა და მიზნებს შორისაც (https://elabedu.eu). შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ში არათუ სკოლების დაფინანსების, არამედ სასწავლო შინაარსისა და კურიკულუმის ორგანიზების სისტემაც დეცენტრალიზებულია.

ამგვარი დეცენტრალიზებული მიდგომის წყალობით, ამერიკის შეერთებულ შტატები გამოირჩევა სასწავლო შინაარსისა და საგანმანათლებლო მიდგომების მრავალფეროვნებით. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი კარგი მაგალითია ევოლუციის თეორია, თუროგორ განსხვავდება დამოკიდებულებები შტატების მიხედვით. მაგალითად, 1960 წლამდე ზოგიერთმა შტატმა, მაგალითად ტენესმა, აკრძალა დარვინის თეორიის სწავლება, ხოლო ალაბამაში ევოლუციის თეორიის სწავლება ზოგადად იყო აკრძალული. თუმცა დღემდე ბევრ შტატში ისწავლება როგორც დარვინის, ასევე, მისი საპირისპირო თეოლოგიური მიდგომები სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით (https://elabedu.eu).

მართვის თვალსაზრისით, განათლების რაიონულ საბჭოებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ დამოუკიდებელ სასკოლო კურიკულუმზე, თუმცა ამავდროულად არსებობს ძირითადი სასწავლო გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიური სასწავლო წელი იწყება სექტემბერში და გრძელდება ივნისის ჩათვლით. როგორც წესი, იყოფა ორ, სამ ან ოთხ აკადემიურ სემესტრად/კომპონენტად. სასკოლო სასწავლო დღე იწყება დილის 7,8 ან 9 საათზე. ტრანსპორტირების თვალსაზრისით, ბევრი მოსწავლე სარგებლობს სკოლის ავტობუსით.

სკოლის სასწავლო განრიგი განსხვავებულია, თუმცა განათლების რაიონულ საბჭოებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება სწავლის დაწყე-

ბა-დასრულების შესახებ. მაგალითად, ქვემოთ მოცემული განაწილება დაახლოებით შეგვიქმნის წარმოდგენას სასკოლო სასწავლო დღის შესახებ:

- დაწყებითი სკოლა – 7:30-14:30
- საბაზო[1] სკოლა – 8:30-15:30
- საშუალო სკოლა – 8:15-15:20

განათლების მიღების ხელმისაწვდომობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზებისთვის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია. აშშ-ში 2001 წელს მიიღეს კანონი „No Child Left Behind", რომლითაც განისაზღვრა, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა. ეს კანონი კიდევ ერთხელ განახლდა და გადაიხედა 2015 წელს. ყველა შტატი პასუხისმგებელია საკუთარ მოსწავლეებსა და მათ აკადემიურ მიღწევებზე. შტატები, საჭიროებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად ადგენენ თავიანთ სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობენ მათთვის საკვანძო საკითხის/პრობლემის აღმოფხვრას, მაგალითად, წიგნიერების განვითარებას.

სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობებზე საუბრისას, ჩვენ აღვნიშნეთ საშინაო განათლების მზარდი პოპულარობის შესახებ. თუმცა აქ უნდა დავამატოთ ისიც, რომ სტანდარტიზებული ტესტებით არ ფასდებიან სახლში სწავლებით მოსარგებლე და კერძო სკოლების მოსწავლეები, მათ თავიანთი შეფასების სისტემა და მიდგომები აქვთ (https://elabedu.eu).

[1] სტატიაში საბაზო საფეხურად მოხსენიებულია ე.წ. საშუალო სკოლა – ამერიკული Middle School, ქართული ანალოგის მიხედვით. ხოლო საშუალო საფეხურად, ასევე ქართული ანალოგის მიხედვით, ე.წ. მაღალი საფეხური High School (რედ.).

რა არის ე.წ. ჩარტერული სკოლები (CHARTER SCHOOLS)?

აშშ-ს სასკოლო განათლებაზე საუბრისას, ერთ-ერთი საინტერესო და აუცილებელი საკითხი, რომელსაც არ შეიძლება, რომ გვერდი ავუაროთ, ე.წ. „Charter Schools" – ჩარტერული სკოლებია, რომლებსაც 1991 წელს „მცირე სკოლების მოძრაობიდან" მიენიჭათ ეს სტატუსი. სხვა საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, ჩარტერული სკოლები მოქმედებენ ადგილობრივი განათლების საბჭოსგან დამოუკიდებლად. ასეთი სკოლის ტიპები იმართება მშობელთა ორგანიზაციის/ჯგუფის, ბიზნესის, ან სხვა საზოგადოებრივი ლიდერების მიერ. მსგავსი სკოლის მსურველი ჯგუფი ადგენს წესდებას, მისიასა და ფინანსებს თითოეულ მოსწავლეზე და წარუდგენს შესაბამის უწყებას დასამტკიცებლად. ისინი თავისუფლები არიან ადგილობრივი ბიუროკრატიისგან და პასუხისმგებლობა ენიჭებათ თითოეული მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე. უნივერსიტეტები ხშირად მხარს უჭერენ ამ ტიპის სკოლას, რომელიც ინოვაციური, ინკლუზიური და მრავალფეროვანია. ასეთი სკოლა ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. ყველა ჩარტერული სკოლა (Charter School) განსხვავებულია, მაგრამ თუ რომელიმე სკოლა საკუთარ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს, შტატს აქვს უფლება, რომ გააუქმოს. 2020 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობდა, დაახლოებით, 7000-მდე ასეთი სკოლა, საკუთარი სასწავლო გეგმით, ფინანსებითა და შეფასების სისტემით. ყოველი სამი-ხუთი წლის თავზე ამ ტიპის სკოლებს უწევთ შეფასება, ფუნქციონირების გაგრძელების თვალსაზრისით. როგორც წესი, ჩარტერული სკოლები, მდებარეობს ქალაქში და არის პატარა ზომის. ამჟამად მზარდი ტენდენციაა, რომ შეიქმნას ამ სისტემის ონლაინსკოლებიც (https://elabedu.eu).

სკოლის ადგილობრივი ოლქის საბჭოები განკარგავენ სკოლების ფინანსებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი განსხვავებებია სასწავლო გეგმებსა და მიზნებს შორისაც, აშშ-ში არათუ სკოლების დაფინანსების, არამედ სასწავლო შინაარსისა და კურიკულუმის ორგანიზების სისტემაც დეცენტრალიზებულია.

რა არის MAGNET SCHOOL?

Magnet School-ები ძირითადად დიდ ქალაქებში მდებარეობს; როგორც წესი, საჯარო სკოლების ნაწილია და მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლის საფეხურებს. სახელიდან გამომდინარე, ასეთი სკოლის ტიპების მთავარი მიზანია, მოიზიდონ განსაკუთრებული ტალანტის მქონე მოსწავლეები სპორტის, ხელოვნებისა და სხვადასხვა სფეროს განხრით. ამ სკოლაში მოსახვედრად აპლიკანტები უნდა შეფასდნენ და გაიარონ ინტერვიუ. მოსწავლეთა და მასწავლებლების რაოდენობის თანაფარდობა ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში, ასევე, აკადემიური მოსწრება და სწავლის ხარისხი აქ უფრო მაღალია. ამ ტიპის სკოლები დიდ ყურადღებას უთმობენ საბუნებისმეტყველო საგნებსა და ხელოვნებას. 2021 წლის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ 3500 Magnet School იყო (https://elabedu.eu).

ამერიკის განათლების სისტემის სპეციალიზაცია თუ მოქნილობა?

აშშ-ს განათლების სისტემა წარმოუდგენლად მოქნილი და მრავალფეროვანია. ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც მოსწავლეები 16 წლის ასაკში უკვე სპეციალიზდებიან, ირჩევენ თავიანთ სფეროს და სამ-ოთხ საგანს, რომელზეც აკეთებენ ძირითად აქცენტს. რაც შეეხება ამერიკელ სტუდენტებსა და მოსწავლეებს, მათ შეუძლიათ შეაჩერონ ან შეცვალონ თავიანთი სპეციალობა/მიმართულება და სწავლა-სწავლების პროცესი მაქსიმალურად მოარგონ თავიანთ ინტერესებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობებია ამ თვალსაზრისით, მათ აქვთ არჩევითი საგნების ბევრი შესაძლებლობა. ამერიკული განათლება დინამიკურია და მისაღებია აზრთა მრავალფეროვნება; ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს აქვთ ერთი ან ორი წელი იმისათვის, რომ აირჩიონ მრავალი განსხვავებული კურსი და მხოლოდ ამის შემდეგ, რაციონალურად გაკეთებული არჩევანის საფუძველზე, სპეციალიზდნენ რომელიმე კონკრეტულ მიმართულებაზე. მიუხედავად მსგავსი მიდგომისა, ამერიკაში მთავარი/ძირითადი კურიკულუმი, განათლების ყველა საფეხურზე გვხვდება (https://elabedu.eu).

აშშ-ს სასკოლო განათლების საფეხურები

ამერიკის შეერთებული შტატების სასკოლო სისტემას წინ უძღვის საბავშვო ბაღი, სადაც 2-5 წლის ასაკში დადიან ბავშვები. ეს საფეხური არ არის სავალდებულო, მაგრამ აქაც გვხვდება მრავალფეროვანი არჩევანი – ზოგი ბაღი ზოგადია, ხოლო ზოგი – სპეციალიზებული. აქ ბავშვები თამაშის საშუალებით ემზადებიან დაწყებითი სკოლისთვის. სტატისტიკურად, ამერიკელი ბავშვების 69% დადის საბავშვო ბაღში.

დაწყებითი საფეხურის ხანგრძლივობა ხუთი ან ექვსი წელია, ეს დამოკიდებულია სკოლის ადგილმდებარეობაზე. როგორც წესი, დაწყებით სკოლებს აქვთ მრავალფეროვანი სასწავლო გეგმა, რომელიც დადგენილია შტატის ან ოლქის დონეზე. მისი მიზანია, რომ ბავშვებმა მიიღონ საბაზისო ცოდნა მათემატიკაში, კითხვაში, წერაში, სპორტში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, მუსიკასა და მეცნიერებებში.

ადრე, როგორც წესი, უცხო ენებს ასწავლიდნენ მხოლოდ საშუალო საფეხურის სკოლებში, ხოლო ახლა დაწყებითი სკოლების, დაახლოებით, 25%-ში სთავაზობენ ესპანურ, ფრანგულ, ჩინურ, ან გერმანულ ენებს. ზოგიერთ დაწყებით სკოლაში ასწავლიან დამატებით საგნებს, როგორიცაა კომპიუტე-

» **განათლების მიღების ხელმისაწვდომობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზებისთვის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია. აშშ-ში 2001 წელს მიიღეს კანონი „NO CHILD LEFT BEHIND", რომლითაც განისაზღვრა, რომ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა. ეს კანონი კიდევ ერთხელ განახლდა და გადაიხედა 2015 წელს.**

რული მეცნიერებები, ტექნოლოგია, მუსიკა და ხელოვნება. სკოლის ამავე საფეხურზე ბავშვები ეცნობიან ალგებრისა და გეომეტრიის საფუძვლებს, სწავლობენ წაკითხულის გააზრებას. სასკოლო კურიკულუმის განსაზღვრისას, მოსწავლეთა სოციალიზაციის ფაქტორი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური მიღწევები, ვინაიდან სკოლის დაწყებითი საფეხური მოსწავლეებს ამზადებს საბაზო და საშუალო საფეხურის სკოლებისთვის. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები მაქსიმალურად არიან ინტეგრირებული კლასში და სარგებლობენ დამატებითი სერვისებითა და სასწავლო მასალებითაც, საჭიროების შემთხვევაში. როგორც წესი, ფიზიკურად, მოსწავლეები არ გადაადგილდებიან კლასებს შორის, ძირითადად, მასწავლებლები მოდიან მათთან, გარდა სპორტის გაკვეთილისა, როდესაც ისინი მიდიან სპორტულ დარბაზში. დაწყებითი საფეხურის სკოლებში კვირაში, დაახლოებით, 20-30 გაკვეთილი ტარდება (https://elabedu.eu).

საბაზო საფეხურის სკოლის მოსწავლეთა ასაკი 11 წელია, ხოლო ზოგიერთი საშუალო სკოლის (ე.წ Junior High School) – 12. ეს ერთწლიანი სხვაობა აისახება სწავლის მომდევნო საფეხურზეც. საბაზო სკოლის მოსწავლეები საშუალო სკოლაში გადადიან 14 წლის ასაკში, მაშინ როცა Junior High School-ის მოსწავლეები 15 წლის ასაკში იწყებენ სწავლას. მიუხედავად ერთწლიანი სხვაობისა, ამ ასაკის მოსწავლეებს ძირითადად მსგავსი სასწავლო გეგმა აქვთ, რომელიც მოიცავს მათემატიკას, საბუნებისმეტყველო საგნებს, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ისტორიას, ინგლისურს. ბევრი სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან არჩევანს ხელოვნების, მუსიკის, დრამის, სპორტის, ლიდერობის, მუსიკალური ინსტრუმენტების, კომპიუტერული მეცნიერებებისა და სხვა საგნების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა რაიონის/ოლქის სკოლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ზოგ სკოლაში არ არის მრავალფეროვანი არჩევანი დამატებითი საგნებისთვის და მათი კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ ძირითად საგნებსა და ტესტებს (https://elabedu.eu).

საშუალო სკოლა განკუთვნილია 14-15 წლის მოსწავლეებისთვის. სკოლის ეს საფეხური მოსწავლეს ეხმარება, მოემზადოს საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის. ძირითადი საგნებია: ისტორია, გეოგრაფია, მსოფლიო კულტურა, მათემატიკა, ინგლისური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება და სპორტი. მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ სტანდარტული სასწავლო ან გაძლიერებული პროგრამა, საუნივერსიტეტო მომზადების კურსები, რომლებიც შესაძლებელია მოსწავლემ გაიაროს როგორც ცალკე, ასევე, სტანდარტულ პროგრამასთან ერთად. საუნივერსიტეტო მომზადების კურსები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია უნივერსიტეტში მოსახვედრად, მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტი ითხოვს, რომ აპლიკანტს ჰქონდეს ასეთი შვიდი ან მეტი კურსი გავლილი. მოსწავლეები ფასდებიან 4/5 ან 11 ქულიანი შეფასების სისტემით, ხოლო ზოგიერთი სკოლა იყენებს ანბანის ასოებს შესაფასებლად. ქულებიც და ასოებიც გამოიყენება საშუალო ქულის GPA-ის გამოსათვლელად. საშუალო სკოლის დიპლომის მისაღებად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს კრედიტების მინიმალური რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია შტატების მიხედვით. საშუალო ქულის GPA-სთვის ასევე მნიშვნელოვანია ტესტის შედეგები, ლაბორატორიული სამუშაოები და პროექტებში მონაწილეობა (https://elabedu.eu).

IB (საერთაშორისო გაკალავრიატის) სექტორი განსაკუთრებით პოპულარულია კერძო სკოლებში, რადგან ჩვეულებრივ საჯარო სკოლებს ეს მიმართულება არ აქვთ. მოსწავლეები ამ გამოცდისთვის მზადებას იწყებენ 16 წლის

> სხვა საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, ჩარტერული სკოლები მოქმედებენ ადგილობრივი განათლების საბჭოსგან დამოუკიდებლად. ასეთი სკოლის ტიპები იმართება მშობელთა ორგანიზაციის ჯგუფის, ბიზნესის, ან სხვა საზოგადოებრივი ლიდერების მიერ. მსგავსი სკოლის მსურველი ჯგუფი ადგენს წესდებას, მისიასა და ფინანსებს თითოეულ მოსწავლეზე და წარუდგენს შესაბამის უწყებას დასამტკიცებლად.

ასაკში, მათ საშუალო სკოლის გაძლიერებული და სტანდარტული პროგრამებიდან უნდა გაიარონ სამ-სამი საგანი. გარდა ამისა, ევალებათ, გავლილი ჰქონდეთ სპორტი, ჰქონდეთ სოციალური აქტივობები, დამოუკიდებელი კვლევითი პროექტები და დაწერილი ჰქონდეთ 4 000 სიტყვიანი ნაშ-

- მასწავლებლის ან კონსულტანტის რეკომენდაცია;
- მოსწავლის ნაშრომები.

ასეთი ტიპის კლასების სახელები აღწერს სირთულის დონესაც. შესაძლებელია, სახელებიგანსხვავდებოდესსკოლებისმიხედვით.

აშშ-ს სასკოლო განათლების საფეხურები



წყარო:https://usahello.org/ (17/03/2024)

სასკოლო კურიკულუმის განსაზღვრისას, მოსწავლეთა სოციალიზაციის ფაქტორი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური მიღწევები, ვინაიდან სკოლის დაწყებითი საფეხური მოსწავლეებს ამზადებს საგაზო და საშუალო საფეხურის სკოლებისთვის.

რომი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ 1800-მდე IB (საერთაშორისო ბაკალავრიატის) სექტორის სკოლაა. შინ სწავლის სერვისით მოსარგებლე მოსწავლეებს არ შეუძლიათ IB გამოცდაზე გასვლა (https://elabedu.eu).

საბაზო და საშუალო სკოლებში ზოგჯერ მოსწავლეები სხვადასხვა საგანში დონეების მიხედვით ნაწილდებიან, რაც გულისხმობს იმას, რომ ზოგ საგანში შეიძლება მოხვდეს მაღალ, ზოგში კი—დაბალ დონეზე.

საგნებში დონეების მიხედვით განთავსება ხდება სხვადასხვა მიზეზით:

- რამდენად კარგად იცის ინგლისური;
- მშობლის/მეურვის რეკომენდაცია;
- სტანდარტიზებული ტესტის შედეგები;
- რთული დავალებების შესრულების სურვილი;
- მოსწავლის ინტერესი და მოტივაცია;

კლასები, სადაც მარტივი ინგლისური გამოიყენება:

- ინკლუზიური კლასი;
- საბაზისო უნარების კლასი.

კლასები, სადაც ჩვეულებრივი/საბაზისო დონეა:

- რეგულარული კლასი.

კლასები, სადაც რთული და მაღალი დონის სწავლებაა:

- საპატიო/ღირსეულთა კლასი;
- ნიჭიერთა კლასი;
- მოწინავე კლასი;
- საერთაშორისო ბაკალავრიატის კლასი (https://usahello.org/).

რაც შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც ახალი გადმოსულები არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასწავლო წლის

დასაწყისში მათ უტარდებათ ენის დონის განმსაზღვრელი ტესტები. ეს შესაძლებელია იყოს წერითი, კითხვითი ან სხვა ფორმატის – დამოკიდებულია სკოლაზე. ზოგჯერ ერთსა და იმავე კლასში სწავლობენ ამერიკელი და არაამერიკელი (ახლადჩამოსული) მოსწავლეები, თუმცა ენის ცოდნის მხრივ განსხვავებულ დონეზე არიან, ამიტომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლებლობას, სპეციალური პროგრამით გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნის დონე. ამ პროცესში სკოლა სრულად გახსნილია მშობლებთან თანამშრომლობის კუთხით (https://usahello.org/).

უმაღლესი განათლების სისტემა

მხოლოდ GPA-საშუალო ქულა და ზოგადი განათლების დიპლომი არ არის საკმარისი უნივერსიტეტში მოსახვედრად. პანდემიის დროს ბევრმა უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ უარი თქვა მაღალი ქულების მოთხოვნაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ორ სტანდარტიზებულ ტესტთან – SAT და ACT. გარდა ამისა, გაჩნდა სხვადასხვა მოსაზრება, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა აღნიშნული სტანდარტიზებული ტესტირების სანდოობა, ვალიდურობა და სარგებელი. პანდემიის შემდგომ ბევრი უნივერსიტეტი აგრძელებს აპლიკანტების ჰოლისტურ შეფასებას და არ ითხოვს მხოლოდ SAT და ACT ტესტირების უმაღლეს ქულებს. ამერიკული განათლების სისტემის დეცენტრალიზებული ბუნებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შესაძლებელია იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, კომერციული და არაკომერციული, სეკულარული ან რელიგიურად აფილირებული. არჩევანი მრავალფეროვანია და ყველა ინდივიდს შეუძლია საკუთარი შეხედულების მიხედვით აირჩიოს სასურველი უნივერსიტეტი (https://elabedu.eu).

ამერიკის შეერთებულ შტატებში არის სამი ძირითადი სახის კოლეჯი: **კოლეჯები, რომლებიც უნივერსიტეტის ნაწილია, სათემო/საზოგადოებრივი კოლეჯები, ლიბერალური ხელოვნების კოლეჯები.** მაგალითისთვის, ჰარვარდის, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული კოლეჯები არის ჰარვარდის უნივერსიტეტის ნაწილი. აქ სწავლა არის ოთხწლიანი, რომლის დამთავრების შედეგად პირს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი და რომლის შემდეგაც შეუძლიათ გაიარონ როგორც მაგისტრის, მოგვიანებით კი – სადოქტორო პროგრამები.

ლიბერალური ხელოვნების კოლეჯები, უმეტესწილად, არის კერძო, რომელთაც აქვთ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამები. ხშირად ისინი თავიანთ საცხოვრებელ სივრცესაც სთავაზობენ სტუდენტებს, გამოირჩევიან პატარა ჯგუფებით და აქვთ სტუდენტებისა და მასწავლებლების დაბალი თანაფარდობა. ზოგ მათგანს აქვს სწავლა-სწავლების ექსპერიმენტული მიდგომები და არ სარგებლობს ტრადიციული შეფასების სისტემით. როგორც წესი, სწავლა არის ინტერდისციპლინური და აქცენტი არ კეთდება კვლევით ნაწილზე, როგორც ტრადიციულ უნივერსიტეტებში; არამედ ცოდნის მიღება ხდება აზრთა ინტერაქციული გაცვლისა და ინტელექტუალური განვითარების გზით. აქ ნაკლებად ამზადებენ სტუდენტებს ხელობისა და პროფესიისთვის. ასეთი კოლეჯები, იმის გამო, რომ კვლევებზე ნაკლები აქცენტია გაკეთებული, სტუდენტებს არ სთავაზობენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა რაიონის/ოლქის სკოლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ზოგ სკოლაში არ არის მრავალფეროვანი არჩევანი დამატებითი საგნებისთვის და მათი კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ ძირითად საგნებსა და ტესტებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ სტანდარტული სასწავლო ან გაძლიერებული პროგრამა, საუნივერსიტეტო მომზადების კურსები, რომლებიც შესაძლებელია მოსწავლემ გაიაროს როგორც ცალკე, ასევე, სტანდარტულ პროგრამასთან ერთად.

სათემო საზოგადოებრივი კოლეჯების შექმნის თავდაპირველი მიზანი გახლდათ, რომ შეევსოთ მუშახელის დეფიციტი. სტუდენტებს შეუძლიათ, რომ აირჩიონ როგორც ნახევარი, ასევე, სრული განაკვეთის პროგრამები და შეუთავსონ სამუშაო გრაფიკს, რაც სწავლას მიმზიდველს ხდის მათთვის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა, თავი დაანებოს სამუშაოს სწავლის გამო. ასეთი ტიპის კოლეჯებს არ გააჩნიათ სტუდენტთა შერჩევის განსაკუთრებული მოთხოვნები, პრაქტიკულად ყველასთვის არის ხელმისაწვდომი. სწავლა ორი წლის განმავლობაში გრძელდება და იძლევა ასოცირებულ/პროფესიულ დიპლომს. ბევრი სტუდენტი იყენებს სათემო/საზოგადოებრივ კოლეჯებს, როგორც ბაკალავრიატის საფეხურისთვის მოსამზადებელ ეტაპს და იყენებენ, ასევე, სატრანსფერო სისტემებს. ამ გზით სტუდენტები თანხას ზოგავენ, რადგან იხდიან კოლეჯის ორწლიან გადასახადს და ბაკალავრიატის საფეხურისთვის კი მხოლოდ ორი წლის გადასახადს. ამ ტიპის კოლეჯის სწავლის საფასური ამერიკის მოქალაქე სტუდენტებისთვის 4000$-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო სხვა დანარჩენებისთვის – 8500$ მდე (https://elabedu.eu).

კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელობა

აშშ-ში განათლება მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველია. განათლების ნებისმიერ საფეხურზე, მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ განსხვავებული კურსები, ინტერესებისა და სურვილების შესაბამისად. როგორც უკვე შევნიშნეთ, ხშირად ამერიკული კოლეჯები სტუდენტებს აფასებენ სტანდარტიზებული ტესტების GPA-ის მიღმა, მათი შესაძლებლობების, ინტელექტუალური უნარებისა და ცნობისმოყვარეობის მიხედვით. სწორედ ამიტომ კოლეჯებში კლასგარეშე აქტივობებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. კლასგარეშე აქტივობებს, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური ფორმა, აღჭურვილობა, თუ ნებისმიერი ინსტრუმენტი, ძირითადად, პირადი ხარჯებით, ან მშობელთა შემოწირულობებით ფინანსდება. კოლეჯებში სტუდენტებს შეუძლიათ, რომ ჩაერთონ მოხალისეობრივ საქმიანობაში, საზოგადოებრივ პროექტებში, მოიზიდონ საქველმოქმედო ფონდები. სხვადასხვა კლუბი განსხვავებულ უნარებს ავითარებს, მაგალითად, კინოკლუბების ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ ვიდეოების, ფილმების, ფოტოების გადაღებასა და მონტაჟს, ხოლო სასკოლო გაზეთებისა და რადიოსადგურების კლუბები ორიენტირებულია კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სტუდენტის აკადემიურ რეზიუმეში. უნივერსიტეტები აპლიკანტებს ამ მიმართულებითაც აფასებენ. კოლეჯები ცდილობენ, მოიზიდონ საუკეთესო სპორტსმენები, ათლეტები, ხელოვანები, რათა გააუმჯობესონ თავიანთი გუნდები და კლუბები. კლასგარეშე აქტივობები იდეალური საშუალებაა პიროვნების ინტერესებისა და საზოგადოებაში ჩართულობის დემონსტრირებისთვის (https://elabedu.eu).

უმაღლესი განათლება – მაგისტრატურა და დოქტორანტურა

მაგისტრატურის საფეხური შესაძლებელია დაიყოს აკადემიურ/კვლევით პროგრამებად, პროფესიულ ხარისხებად, დიპლომებად და სერტიფიკატებად. სამაგისტრო საფეხური, უმეტესწილად, ორწლიანია, თუმცა არსებობს უფრო მოკლე პროგრამებიც, როგორებიცაა MBA 12-თვიანი პროგ-

შენიშვნები:

1 სტატიაში საბაზო საფეხურად მოხსენიებულია ე.წ. საშუალო სკოლა – ამერიკული Middle School, ქართული ანალოგის მიხედვით. ხოლო საშუალო საფეხურად, ასევე ქართული ანალოგის მიხედვით, ე.წ. მაღალი საფეხური High School (რედ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://elabedu.eu/education-system-abroad/education-system-usa/?fbclid=IwAR3t-cxi2F6X5IQKNsOe6gCgSAEthksVR4_IKM40mMWev_-5_OoBT6xxT-M (17/03/2024).
2. https://gpseducation.oecd.org/CountryProfile?plotter=h5&primaryCountry=USA&treshold=5&topic=EO&fbclid=IwAR1SbT30GSyEjLCwXnb0jQNFwDAJVmXO1VAhmAuJO-iXcpEXSgOf0AItC-I (15/03/2024)
3. https://usahello.org/education/children/grade-levels/?fbclid=IwAR0wjHI7lqxQfRrf18BGwehLhCxMNVhjX2RFTS_7VRJ1J447ZAeySD7EOec (16/03/2024)
4. https://gpseducation.oecd.org/CountryProfile?fbclid=IwAR2CXfMbgu4UZ8lzoYDw5-_swrFSvF2YqQkWQGQrE8NkyVhgRynxkYU3Q9Y (14/03/2024)

რამა. სამაგისტრო პროგრამების წლიური გადასახადი მერყეობს 20 000$-35 000$-ის ფარგლებში. კერძო უნივერსიტეტებში გადასახადი კიდევ უფრო მაღალია. რაც შეეხება დოქტორანტურის საფეხურს, საშუალოდ 4-6 წლის განმავლობაში გრძელდება, რომელიც დისერტაციის დაცვით სრულდება. პროფესიული სამაგისტრო ხარისხის მოპოვება შესაძლებელია მედიცინაში, სამართალში, თეოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ჟურნალისტიკაში, არქიტექტურაში, ინჟინერიაში და ა.შ (https://elabedu.eu).

უფრო დეტალურად ამერიკის განათლების სისტემის შესახებ იხილეთ ინფოგრაფიკა:

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების საფეხურები 2023



განმარტებები

⇧/△ სავალდებულო განათლების დაწყება/დამთავრება ასაკი

○ სავალდებულულო ტრენინგის დამთავრების ასაკი

▲ განათლების სისტემის მიერ აღიარებული ხარისხი

↑ სტუდენტთა/მოსწავლეთა ნაკადი

⇢ ტრანსფერი ერთი პროგრამიდან მეორეში

ნახევარ განაკვეთიანი პროგრამა

პროფესიული განათლების მიმართულება

დუალური პროგრამა

ერთი სტრუქტურის განათლების საფეხური (ინტეგრირებული ISCED დონესთან) ISCED – განათლების საერთაშორისო სტანდარტიზებული კლასიფიკაცია (International Standart Classification of Education)

შეიძლება უბრუნველყოფილია მხოლოდ ერთი სკოლის სტრუქტურაში

ტრანსფერი ამ ხაზების კვეთაზე შეუძლებელია

დიპლომი

დიპლომი, ხარისხი, სერტიფიკატი

ECTS

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

NQF L

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო-დონე

* **თეორიული საწყისი ასაკი კანონის მიხედვით განსაზღვრული რომელიმე პროგრამისთვის. თუმცა, განსხვავდება საფეხურების მიხედვით**

ურთიერთოგვეგი სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია

ინტერვიუ მაკინლის დაწყებითი სკოლის დირექტორთან, მერი მაქეიგთან

ესაუბრა
ეკატერინე
დაფქვიაშვილი

მაკინლის დაწყებითი სკოლა მდებარეობს ნიუ ჯერსის შტატში, ქალაქ ვესტფილდში. სკოლა დაარსდა 1909 წელს.

2024 წლის მონაცემებით, სკოლაში სწავლობს 332 მოსწავლე, მეხუთე კლასის ჩათვლით. ნიუ ჯერსის შტატში სულ 2294 დაწყებითი საფეხურის საჯარო სკოლაა, ამ სკოლების რეიტინგის მიხედვით, მაკინლის დაწყებითი სკოლა 128-ე ადგილზეა.

სკოლაში მოსწავლეთა 31% უმცირესობათა წარმომადგენელია. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა არის 11:1-ზე, რაც უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ზოგადი ვითარება ამ რაიონში. მოსწავლეთა 46% გოგონაა, ხოლო 54% – ბიჭი. სკოლაში ეკონომიკურად დაუცველ მოსწავლეთა რაოდენობა მხოლოდ 1%-ია. სკოლის 29 მასწავლებელი სრულ განაკვეთზე მუშაობს. სკოლას არ ჰყავს საკუთარი საგნობრივი, ან კურიკულუმის მრჩეველი, ის სარგებლობს რაიონის/ოლქის მრჩევლებით.

წყარო:
https://www.usnews.com/education/k12/new-jersey/mckinley-elementary-school-279912#data
https://www.usnews.com/education/k12/elementary-schools/new-jersey?sort=distance-asc
https://www.nj.gov/education/doedata/fact.shtml

გაგვეცანით, მოგვიყევით თქვენი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ... რა იყო თქვენი მოტივაცია, რომ გამხდარიყავით სკოლის დირექტორი?

ყოველთვის მინდოდა, რომ ვყოფილიყავი მასწავლებელი და, რაც თავი მახსოვს, ძალიან ადრეული ბავშვობიდან, ჩემს წარმოდგენაში ყოველთვის ვიყავი კიდეც მასწავლებელი – ვთამაშობდი, რომ ვარ მასწავლებელი; წარმოვიდგენდი, რომ მაქვს საკლასო ოთახი, ვთამაშობდი მეზობელ ბავშვებთან ერთად, ვასწავლიდი ჩემს სათამაშოებს... სკოლის დამთავრების შემდეგ ფილადელფიაში, St. Joseph's University-ში ჩავაბარე დაწყებითი განათლების საფეხურზე. ძალიან მადლიერი ვარ ჩემი ლექტორებითა და პროფესორებით. თავიდანვე ზუსტად ვიცოდი, რას ვაკეთებდი და უნივერსიტეტში მქონდა საოცარი პრაქტიკული და თეორიული შესაძლებლობა, გამოვსულიყავი კარგი მასწავლებელი.

პირველი „მასწავლებლური“ სამსახური მქონდა ამ სკოლასთან ახლოს, Holy Trinity School-ში, სადაც ვმუშაობდი ორი წელი, შემდეგ გადავედი ფრანკლინის დაწყებით სკოლაში (Franklin elementary). იქ კი ვასწავლიდი 18 წლის განმავლობაში! ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. იქ მუშაობის ხუთი წლის თავზე, იმავე სკოლის დირექტორმა მერი ფლექსმა (Marry Flex) მითხრა, რომ კარგი კანდიდატი ვიყავი ადმინისტრაციული საქმიანობისთვისაც და ბედი უნდა მეცადა განათლების ლიდერობის მიმართულებითაც. თავიდან უარი ვუთხარი, რადგან ვერც კი წარმომედგინა, რა უნდა გამეკეთებინა ჩემი კლასის იქით. ვუთხარი რომ ვერ შევძლებდი და მერჩივნა კლასში ყოფნა. ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო რჩევა, რაც მაშინ მან, ჩემი სკოლის დირექტორმა მომცა. მოგვიანებით, 2009 წელს, დავიცავი მაგისტრის ხარისხი განათლების ლიდერობის მიმართულებით. თუმცა, მაინც ვფიქრობდი, რომ მიღებულ ცოდნას ამ მიმართულებით ვერ გამოვიყენებდი, ვერ გავხდებოდი კარგი დირექტორი. ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, ვაგრძელებდი მასწავლებლად მუშაობას. დაახლოებით, 20018 წელს დავიწყე ფიქრი, რომ შემეძლო გამეკეთებინა რაიმე განსხვავებული, რომ მჭირდებოდა პროფესიული სიახლე; დავიწყე ფიქრი საკლასო ოთახის დატოვებაზე. გავიარე პროფესიული განვითარების სხვადასხვა ტრენინგი, ვიყავი ლიდერი ქოუჩი, ვატარებდი სამუშაო შეხვედრებს, ვუზიარებდი ცოდნას კოლეგებს და, საბოლოოდ, მომეწონა ახალი როლი, რომელიც საკლასო ოთახიდან გამოსვლას გულისხმობდა. 2020 წელს გავხდი ფრანკლინის სკოლის დირექტორის ასისტენტი. შემდეგ გავიგე, რომ მაკინლის დაწყებით სკოლაში გამოცხადდა დირექტორის ვაკანსია. ყოველთვის მხოლოდ კარგი მესმოდა ამ სკოლის შესახებ და მალევე მივიღე გადაწყვეტილება, დირექტორის პოზიციაზე შემომეტანა განაცხადი. ეს სკოლა ბევრად პატარაა, ვიდრე ფრანკლინის დაწყებითი სკოლა, შესაბამისად, მქონდა მოლოდინი, რომ სამართავადაც უფრო მარტივი იქნებოდა. გამიმართლა, რომ საოცრად მზრუნველ, მეგობრულ და პროფესიონალ თანამშრომლებთან ერთად, მერგო ეს რაიონი, განათლების აქაური პოლიტიკა და აქ მცხოვრები ხალხი, რომელიც სამუშაო პროცესს ხდის ეფექტურს და სასიამოვნოს. ზოგჯერ მასწავლებლობა ძალიან მენატრება. როდესაც მასწავლებელი ხარ, მჭიდრო კავშირი გაქვს კლასთან, ბავშვებთან, მათ ძალიან ახლოს იცნობ, ხოლო დირექტორი როცა ხარ, ამის შედარებით ნაკლები შესაძლებლობა გაქვს. მაგრამ ამავდროულად ძალიან მომწონს და მიყვარს, როდესაც ვეხმარები მასწავლებლებს, როდესაც მათთან ერთად ვზრუნავ პრობლემების გადაჭრაზე, რადგან როგორც მასწავლებელმა, კარგად ვიცი, რა არის მათი პრობლემები. დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს ისინიც გრძნობენ – მე მაქვს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლობის ძალიან დიდი გამოცდილება და სწორედ ამ ნაწილს სცემენ ისინი განსაკუთრებით დიდ პატივს, იციან რომ მათნაირად ვგრძნობ საჭიროებებს, გამოწვევებს, გამარჯვებებს.

რას ფიქრობთ, ვინ არის დირექტორი სკოლისთვის?

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, დირექტორი არის საგანმანათლებლო ლიდერი. სწორედ ესაა ჩემი საქმიანობის საყვარელი ნაწილი – მასწავლებლების დახმარება, მათ გვერდით დგომა, მათი საჭიროებების დანახვა და გათვალისწინება. დირექტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი სკოლის მოსწავლეები სწავლობენ და იზრდებიან. და, ცხადია, სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია, რომ შექმნას ყველასათვის უსაფრთხო გარემო სკოლაში.

ძალიან მოგწონს და მიყვარს, როდესაც ვეხმარეგი მასწავლეგლეგს, როდესაც გათთან ერთად ვზრუნავ პროგლემეგის გადაჭრაზე, რადგან როგორც მასწავლეგელმა, კარგად ვიცი, რა არის გათი პროგლემეგი.

შეგიძლიათ აღწეროთ თქვენი ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე სკოლაში?

სამუშაო დღის დასაწყისში, ჩემს მოადგილესთან ერთად, ვრწმუნდები, რომ ყველა მასწავლებელი ადგილზეა. ჩვენ გვყავს შემცვლელი მასწავლებლები, რომლის გამოყენებაც შეგვიძლია საჭიროების შემთხვევაში, ამიტომ მნიშვნელოვანია, დილითვე ვიცოდეთ, დაგვჭირდება თუ არა რამენაირი გადაგეგმვა. ვამოწმებთ დღის გეგმას და ამის შემდეგ გავდივარ გარეთ და დილით უშუალოდ ვხვდები სკოლაში მოსულ ყველა მოსწავლესა და მშობელს – ეს არის ჩემი საყვარელი რიტუალი და, ასევე, ეს არის საუკეთესო შესაძლებლობა, გაიცნო შენი სკოლის მოსწავლეები, მიმართო სახელებით, გაიცნო მათი მშობლები და დატოვო შეიძლება მინიმალური, მაგრამ მუდმივი პირდაპირი კონტაქტის საშუალება. ბავშვების დახვედრისთვის, დაახლოებით, 15-20 წუთი მჭირდება, შემდგომ ვამოწმებ სკოლაში შესასვლელ ყველა კარს, რათა დავრწმუნდე, რომ ყველა დაკეტილია. შემდეგ ვბრუნდები შენობაში დილის ცნობების გამოსაცხადებლად, რომელიც გულისხმობს დღის გეგმის გაცნობას, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე, ბავშვებისთვის, ასევე, დაბადების დღის მილოცვებს. დილის გეგმების გაცნობის შემდეგ, 10 საათამდე, ვცდილობ, რომ ყველა კლასში შევიარო. ზოგჯერ ყველას ვესალმები, რომ შევდივარ, ზოგჯერ უბრალოდ შევდივარ და არაფერს ვამბობ, ვაკვირდები საგაკვეთილო პროცესს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია როგორც ჩემთვის, სკოლის ლიდერისთვის, ასევე, მასწავლებლისთვის, უკუკავშირის მიცემის თვალსაზრისით. როგორც წესი, დღის განმავლობაში გვაქვს გარკეეული შეხვედრები ადმინისტრაციას, ან ვპასუხობთ შემოსულ წერილებს, ზარებს, ხოლო ამის შემდგომ მოდის სადილის დრო. ეს არის საკმაოდ დატვირთული პერიოდი და, როგორც წესი, ამ დროს ყოველთვის ვარ გარეთ, დერეფანში ან სასადილოში. ზოგჯერ სადილის დროს მეოთხე და მეხუთე კლასელებს ხმამაღლა ვუკითხავ წიგნს, ხოლო პირველ, მეორე და მესამე კლასელებთან ვთამაშობ, ვხუმრობ სხვადასხვა თემაზე. მათ ეს ძალიან მოსწონთ, ეს არის სკოლაში დღის ყველაზე მხიარული ნაწილი. მოსწავლეები რომ დაასრულებენ სადილს, შემდეგ მეცვსადილობ. შემდეგ ისევ შეხვედრები, ან ელექტრონულ ფოსტას და შემოსულ ზარებს ვპასუხობ, სხვადასხვა დოკუმენტაციას ვაგვარებ და, მოგვიანებით, სასწავლო დღის დასრულებისას, ისევ გარეთ გავდივარ.

როგორც წესი, გაკვეთილების დასრულების შემდგომ, სამიდან ოთხ საათამდე, ყველანი სამასწავლებლოში ვიკრიბებით, ერთმანეთს ვუზიარებთ გასული დღის ამბებს, განვიხილავთ მნიშვნელოვან საკითხებს, პრობლემებს. ასეთია ჩემი ჩვეულებრივი სასკოლო დღე. თუმცა დღე უფრო რთულია ხოლმე, როდესაც რომელიმე მასწავლებელი თავს არ გრძნობს კარგად, ან ვინმე განაწყენებულია, ან შენობას სჭირდება ინფრასტრუქტურული დახმარება. ერთი სიტყვით, ზოგადად, დღის განმავლობაში ვარ ძალიან დაკავებული, თუმცა ჩემი დღე ყოველთვის სახალისო, საინტერესო და ურთიერთობებით დატვირთულია. ვცდილობ, რომ ვიყო ყველასთვის ხელმისაწვდომი, არ ვიყო განყენებული და შორიდან არ ვუყურებდეს სასწავლო პროცესს; ვცდილობ, ვიყო ყველაფრის ნაწილი.

დისციპლინისთვის არ მჭირდება რომ მკაცრი და მიუვალი ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებობენ სკოლის ლიდერები/მენეჯერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უნდა იყო მკაცრი, თუ გინდა, რომ დაამყარო წესრიგი. მე ნამდვილად არ ვფიქრობ ასე. (იღიმის)

ქართველი მკითხველისთვის მოკლედ რომ აღწეროთ, რა გზა უნდა გაიაროს

განათლების სპეციალისტმა აშშ-ში, რომ გახდეს სკოლის დირექტორი და, მოგვიანებით, როგორია სკოლის დირექტორის პროფესიული განვითარების ამერიკული შესაძლებლობები?

პირველ რიგში, ყველა დირექტორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება – მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი განათლების ლიდერობის მიმართულებით. ბაკალავრის ხარისხი შესაძლებელია სხვა ნებისმიერი მიმართულებით გქონდეთ დაცული. ასეთი პროგრამის მქონე უნივერსიტეტებს ჰყავთ მენტორებიც, რომლებიც, თეორიულ ცოდნასთან ერთად, გიზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ამ პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი და ვრცელი ნაწილია სკოლაში სტაჟირება, პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით, ასევე, ნაშრომის დაცვა. როგორც მასწავლებლობის პროგრამაზე გავდიოდი სტაჟირებას, პრაქტიკას სკოლაში, ზუსტად ასევე მქონდა პრაქტიკული სტაჟირების შესაძლებლობა სამაგისტრო საფეხურზე. განათლების ლიდერობის პროგრამაზე სკოლაში სტაჟირება გაგრძელდა ერთ წელიწადს და, როგორც სკოლის ლიდერს, სტაჟირება მომიწია იმავე სკოლაში, სადაც ვმუშაობდი მასწავლებლად (Franklin elementary school). უნივერსიტეტი ანაწილებს ყველა სტუდენტს სკოლაში სტაჟირებისთვის. ჩემი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ ნაშრომის მომზადებასთან და ყველა სხვა სავალდებულო პროექტთან შედარებით, სკოლაში სტაჟირებამ ყველაზე დიდი გამოცდილება და ცოდნა მომცა. ახლა, როდესაც ვფიქრობ, თუ სად დავაგროვე ყველაზე დიდი ცოდნა და რა დამეხმარა, როგორც სკოლის დირექტორს, ზუსტად ვიცი, რომ ეს იყო პრაქტიკული სამუშაოები და სტაჟირება სკოლაში. დირექტორი, რომელზეც ვიყავი მიმაგრებული სტაჟირების დროს, სხვადასხვა დავალებასა და პროექტს მაძლევდა, მაქსიმალურად მრთავდა სასკოლო პროცესში.

მოქმედ დირექტორებს რაც შეეხება, მაგალითად, ნიუჯერსის მასშტაბით, არსებობს ასეთი სპეციალური პროგრამა „Leaders to Leaders" – „ლიდერები ლიდერებისთვის". როდესაც მუშაობ როგორც სკოლის დირექტორი, ამ პროგრამის დახმარებით, უკავშირდები მენტორს, რომელიც ასევე სკოლის დირექტორია ნიუ ჯერსიდან და მასთან ერთად მუშაობ პროფესიულ განვითარებაზე. ახლახან დავამთავრე ეს პროგრამა, რომელმაც ორ წელს გასტანა. ეს იყო ხანგრძლივი და საინტერესო პროცესი, საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკით. პროგრამა გულისხმობდა მენტორ დირექტორთან სამუშაო შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარებას, სხვადასხვა პროექტზე მუშაობას. ამავე შეხვედრებში ჩართული იყვნენ სხვა სკოლის დირექტორებიც. ძალიან დატვირთული ვიყავი, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო, რადგან სხვა დირექტორების გამოცდილებას ვისმენდი სხვადასხვა მიმართულებით, განსხვავებული შეხედულებები და გადაწყვეტილებები კი ყოველთვის ყველაზე ღირებული რესურსია პროფესიული განვითარებისთვის.

თქვენ თავად როგორ ეხმარებით თანამშრომლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს პროფესიული განვითარების თვალსაზრისით?

ზოგადად, ყოველწლიურად სუპერინტენდენტი ზრუნავს ამ მიმართულებით. მასწავლებელმა სასწავლო წლის დასაწყისშივე იცის, როდის აქვს განსაზღვრული პროფესიული განვითარებისთვის დრო. როგორც წესი, სუპერინტენდენტი წინასწარ აგროვებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად, რა ნაწილში სჭირდებათ მასწავლებლებს დახმარება, პროფესიული განვითარება. ის ამ ინფორმაციას იღებს მას-

დირექტორი არის საგანმანათლებლო ლიდერი. სწორედ ესაა ჩემი საქმიანობის საყვარელი ნაწილი – მასწავლებლების დახმარება, მათ გვერდით დგომა, მათი საჭიროებების დანახვა და გათვალისწინება. დირექტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი სკოლის მოსწავლეები სწავლობენ და იზრდებიან. და, ცხადია, სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია, რომ შექმნას ყველასათვის უსაფრთხო გარემო სკოლაში.

» გამიმართლა, რომ საოცრად მზრუნველ, მეგობრულ და პროფესიონალ თანამშრომლებთან ერთად, მერგო ეს რაიონი, განათლების აქაური პოლიტიკა და აქ მცხოვრები ხალხი, როგელიც სამუშაო პროცესს ხდის ეფექტურს და სასიამოვნოს.

წავლებლებთან და დირექტორებთან შეხვედრიდან, გამოკითხვებიდან. ყოველ წელს შემოთავაზებული გვაქვს პროფესიული განვითარების სპეციალური „ფოკუსი“ – რამდენიმე აქტიური თემა, რომელიც უმეტესობისთვის მნიშვნელოვანია. ეს რაც შეეხება სკოლის გარეთ არსებულ შესაძლებლობებს, ხოლო სკოლის შიგნით გვაქვს ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მუდმივი შეხვედრები, ასევე, მასწავლებლებს ეხმარებიან მათი ქოუჩი უფროსი მასწავლებლები, ასეთის საჭიროების შემთხვევაში. კალენდარული პროფესიული განვითარების დღეებისა და სკოლის შიგნით არსებული შეხვედრების გარდა, მასწავლებლებს მუდმივად ვუზიარებთ პროფესიული განვითარების ლიტერატურას, რომელიც არანაკლები მნიშვნელობისაა სხვა დანარჩენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან ერთად. ყველა განსხვავებულად სწავლობს, ზოგს პირისპირ შეხვედრები, ხოლო ზოგს – კითხვა და დამოუკიდებლად მუშაობა ურჩევნია. ასევე, ერთი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ეხმარებიან ერთმანეთს. მოკლედ, ვცდილობთ, რომ მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ჰქონდეთ ჩვენს მასწავლებლებს. ვფიქრობ, რომ პროფესიული ცოდნის მუდმივად გაზიარება უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველწლიურად იცვლება მოთხოვნები, საჭიროებები, იცვლება სტანდარტები და სწავლის მიმართ მოთხოვნები, ამიტომ მსგავსი მიდგომა ეხმარება მასწავლებელს, მალევე აუწყოს ფეხი ცვლილებებს.

რას გვეტყვით მშობელთა ჩართულობაზე, რა როლი აქვთ მათ სასკოლო ცხოვრებაში?

ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მშობელთა ჩართულობა, ძალიან აქტიური PTO (Parent Teacher Organization) მშობელთა ორგანიზაცია გვყავს. ისინი ცდილობენ, რომ ყველა მშობელი მაქსიმალურად ჩართონ სასკოლო ცხოვრებაში. წლის განმავლობაში ეს ორგანიზაცია ბევრ

მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებს, ზოგი საქველმოქმედო ხასიათისაა, ზოგი – საგანმანათლებლო, ზოგი – სპორტული. ეს ორგანიზაცია აახლოებს მშობლებს და ერთი მიზნის ირგვლივ აერთიანებს. ზოგადად, ყოველ თვე ძალიან ბევრი მშობელია ჩართული სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სწორედ მსგავსი საქმიანობები ქმნის თემს, საზოგადოებას, რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებს.

მშობელთა ორგანიზაცია წლის განმავლობაში მშობლებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას ატარებს, აცნობს წლის გეგმას, ისახავენ მიზნებს, შესრულებულ სამუშაოზე აბარებენ ანგარიშს – რა გაკეთდა, რა ვერ გაკეთდა, სად რამდენი თანხა დაიხარჯა, რა დარჩა გასაკეთებელი და ა.შ. მასწავლებლები, თავის მხრივ, ყოველკვირეულ წერილებს აგზავნიან მშობლებთან, რომელთაც ერთგვარი ანგარიშის სახე აქვთ – რა გაკეთდა, რა ვერ გაკეთდა, რა იგეგმება; მშობლებს სთავაზობენ კონკრეტულ აქტივობებში ჩართულობას, მაგალითად, წიგნს კითხვის, პროფესიული გამოცდილების მიმართულებით. ეს ძალიან კარგად მუშაობს და ძალიან ვაფასებთ მშობელთა ჩართულობას და აქტიურობას. მეც ვცდილობ, ყოველკვირეული ელექტრონული წერილით ჩავაყენო მშობლები საქმის კურსში, რა გაკეთდა, სკოლას როგორი კვირა ჰქონდა. ვცდილობ, რომ მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მქონდეს.

ძალიან მოკლედ გაგვიზიარეთ სუპერინტენდენტის (superintendent), ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციისა და განათლების საბჭოს როლები – როგორ მუშაობენ, რას ემსახურებიან ისინი?

სუპერინტენდენტს, ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციას, განათლების საბჭოსა და სკოლას აქვთ განსხვავებული როლები. თუმცა ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ყოველდღიური პასუხისმგებლობები. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი არ იმუშავებდა, თუ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი არ გვექნებოდა. მაგალითად, სკოლის დირექტორები მუდმივად უზიარებენ მათ თავიანთ საჭიროებებსა და მიღწევებს, რომელსაც ითვალისწინებენ აღნიშნული სამსახურები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვისმენენ და გვითვალისწინებენ.

სუპერინტენდენტი ჩვენ, სკოლის დირექტორებს გვხელმძღვანელობს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის სკოლის დირექტორის დირექტორი. სუპერინტენდენტი ცდილობს, დაგვანახოს უფრო დიდ სურათი, სად გვინდა რომ ვიყოთ, რა არის ჩვენი მიზანი. ის ხელმძღვანელობს მთლიან ოლქს/რაიონს და შეუძლია სკოლის დანახვა უფრო ფართო შესაძლებლობებისა და საჭიროებების კონტექსტში.

ცენტრალური ოფისი პასუხისმგებელია, მოგვაწოდოს და შეიმუშაოს იურიდიული დოკუმენტაცია, ფორმალობები და წესები, რომელსაც ოლქის სკოლები უნდა იცავდნენ. ხოლო განათლების საბჭო პასუხისმგებელია, იყოს ერთგვარი რგოლი საზოგადოებასა და სკოლას შორის. ისინი ხედავენ, რას აკეთებენ სკოლები და მე ამით უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ასევე, ისინი გვეუბნებიან, თუ რა უნდა გაკეთდეს სკოლებში და რა არის ახლა პრიორიტეტული. ქალაქ ვესტფილდში ყველა ეს სამსახური ორგანიზებულად და ჰარმონიულად მუშაობს ერთმანეთში. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ოლქში არ არის ასე, ზოგან ეს სამსახურები არ მუშაობენ ორგანიზებულად. ამ მხრივ, ჩვენ ძალიან გაგვიმართლა და, პირველ რიგში, ბავშვები იღებენ აქედან სარგებელს, ეს ყველაფერი მათთვის კეთდება.

სასკოლო პროგრამები, კურიკულუმი ვის მიერ არის ორგანიზებული – სკოლის დირექტორის, სუპერინტენდენტის/ოლქის, თუ დაგეგმილი და განსაზღვრულია ფედერალურ დონეზე?

» შემდეგ გავდივარ გარეთ და დილით უშუალოდ ვხვდები სკოლაში მოსულ ყველა მოსწავლესა და მშოგელს – ეს არის ჩემი საყვარელი რიტუალი და, ასევე, ეს არის საუკეთესო შესაძლებლობა, გაიცნო შენი სკოლის მოსწავლეები, მიმართო სახელებით, გაიცნო მათი მშოგლები და დატოვო შეიძლება მინიმალური, მაგრამ მუდმივი პირდაპირი კონტაქტის საშუალება.

როგორც წესი, ეს ხდება შტატის დონეზე, მაგალითად, ნიუ ჯერსის შტატს აქვს განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა, რა მიზანზე უნდა გავიდნენ სკოლები. ოლქის დონეზე ყველა საგანს ჰყავს ექსპერტები/კონსულტანტები, რომლებიც ქმნიან კურიკულუმს, რომელიც შეესაბამება შტატის მიერ დადგენილ სტანდარტს, მაგალითად, მათემატიკის, ხელოვნების, ენების კურიკულუმი. სკოლებს გვაქვს უფლება, ავირჩიოთ ოლქის მიერ მოწოდებული კურიკულუმი, ან ჩვენ შევიტანოთ ცვლილება, რომელიც აუცილებლად შესაბამისი უნდა იყოს შტატის მიერ შემუშავებულ სტანდარტთან. მაგალითად, ჩვენთან, მაქინლიში, მათემატიკას ყოველდღე ვატარებთ, ასე ავირჩიეთ თავად, მაგრამ ენებში არ მივყვებით ერთ რომელიმე პროგრამას, არამედ, სხვადასხვა პროგრამიდან ვიღებთ ნაწილებს და თავად ვქმნით ერთ პროგრამას ამ მიმართულებით. კურიკულუმი რაც არ უნდა მოარგოთ ადგილობრივ საჭიროებებს, აუცილებელი და გარდაუვალია, რომ თანხვედრაში უნდა იყოს შტატის სტანდარტთან—შეიძლება ერთ რომელიმე პროგრამას მიჰყვებოდეს სკოლა, ან სხვადასხვა პროგრამის ნაზავს, მაგრამ შტატის სტანდარტი, ორივე შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად არ შეაქვს კურიკულუმში ცვლილება, ეს ხდება ოლქის დონეზე, ოლქის საგნობრივი ექსპერტების ჩართულობით. ოლქის საგნობრივი ექსპერტები მჭიდროდ თანამშრომლობენ სუპერინტენდენტთან და ჩვენთან, სკოლებთან, მასწავლებლებთან, რათა შეიმუშაონ ოლქისთვის მორგებული კურიკულუმი, გაითვალისწინონ ოლქში შემავალი სკოლების საჭიროებები. ოლქის კურიკულუმი მტკიცდება განათლების საბჭოს მიერ და ამის შემდეგ სკოლას აღარ შეუძლია კურიკულუმის ინდივიდუალუ-

რად შეცვლა, შეიძლება თავად აირჩიონ, როგორ ასწავლონ, მაგრამ კურიკულუმი უკვე შედგენილი და დამტკიცებულია.

როგორ ზრუნავთ განსხვავებული საჭიროებების მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე?

ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ გვყავს საოცრად კარგი ინგლისურის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი, ქალბატონი მერი მორანი. ის ზრუნავს ყველა ახალ მოსწავლეზე, რომელიც მოდის სკოლაში, რომ შეძლოს მაქსიმალურად სწრაფად ინტეგრირება და არ ჰქონდეს ენობრივი ბარიერი. ვისთვისაც ინგლისური არ არის მშობლიური ენა, ხდება მათი ტესტირება და, შედეგების გათვალისწინებით, ქალბატონი მორანი იწყებს მათთან მუშაობას. წლის ბოლოს მოსწავლეები კვლავ ფასდებიან ტესტის მიხედვით, თუ როგორ დაძლიეს ეს პროგრამა. ქალბატონი მორანი მასწავლებლებსაც ეხმარება, ასწავლის ასეთ მოსწავლეებთან რა მეთოდებს მიმართონ, როგორ ასწავლონ. თუ საქმე გვაქვს სხვა აკადემიურ საჭიროებებთან, გარდა ენობრივისა, ჩვენ გვაქვს მიღწევების პროგრამა, რომელიც მოსწავლეებისთვის არის ერთგვარი მხარდაჭერა, რომ სხვა საგნებში დამატებითი გაკვეთილები ჩაუტარდეთ და ჰყავდეთ დამხმარე მასწავლებლები.

გვითხარით როგორ იცავს სკოლა მოსწავლეებისა და თანამშრომელთა უსაფრთხოებას?

უსაფრთხოება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლისთვის და ეს არის ჩემი სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებლობა. ყველა ოჯახს, მშობელს უნდა, რომ მისი შვილი უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს. ჩვენ გვყავს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია მსგავს საკითხებზე, უსაფრთხოების წვრთნებზე. მუდმივად ამოწმებს სკოლის შემოსასვლელებს, რათა უცხო პირებს არ მიეცეთ სკოლის ტერიტორიაზე უნებართვოდ შემოსვლის საშუალება. ყოველ თვე გვაქვს ორი უსაფრთხო წვრთნა, ერთი არის სახანძრო, ხოლო მეორე — სკოლის უსაფრთხოების.

სკოლის უსაფრთხოების წვრთნა შეიძლება იყოს სკოლის მოულოდნელი ჩაკეტვა, გარეთ გასვლის წარმოსახვითი საფრთხის შემთხვევაში და რომ მოსწავლეები

ვცდილობ, რომ ვიყო ყველასთვის ხელმისაწვდომი, არ ვიყო განყენებული და შორიდან არ ვუყურებდე სასწავლო პროცესს; ვცდილობ, ვიყო ყველაფრის ნაწილი. დისციპლინისთვის არ მჭირდება რომ მკაცრი და მიუვალი ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებობენ სკოლის ლიდერები მენეჯერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უნდა იყო მკაცრი, თუ გინდა, რომ დაამყარო წესრიგი. მე ნამდვილად არ ვფიქრობ ასე.

» ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲘᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ. ᲡᲣ�პᲔᲠᲘᲜᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲝᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ, ᲡᲐᲓ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ. ᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲝᲚᲥᲡ/ᲠᲐᲘᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ.

უნდა დარჩენენ სკოლაში. პატარებს ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ეს არ არის წვრთნა და არის ნამდვილი განგაშის ზარები, ამ დროს ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მარტივად და სწრაფად ავუხსნათ, რა ხდება. აუცილებელია, რომ ყველა მოსწავლემ და თანამშრომელმა იცოდეს უსაფრთხოების წესების დაცვა და ამისთვის მუდმივი წვრთნები საუკეთესო გამოსავალია. უსაფრთხოების სტანდარტიც შტატის დონეზე მუშავდება, თუმცა ოლქის დონეზე ცვლილებების შეტანის უფლება აქაც გვაქვს.

როგორ ფინანსდება სკოლა? ვინ ადგენს სკოლის ბიუჯეტს? სკოლა თავად წყვეტს, როგორ გაანაწილოს ფინანსები?

ვესტფილდში 90-95% სკოლის ფინანსები მოდის ადგილობრივი მცხოვრებლების გადასახადებიდან. ძალიან დაბალია შტატის დახმარების წილი. შესაბამისად, სკოლა პასუხისმგებელია, ადგილობრივ მოსახლეობას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში ან შეატყობინოს ბიუჯეტში ნებისმიერი ცვლილების შესახებ. ოლქის სუპერინტენდენტი ძალიან დიდ შრომას სწევს, რომ შეადგინოს ყოველწლიური ბიუჯეტი, ჰკითხოს მოსახლეობას, თუ რაში სურთ თავიანთი ფულის დახარჯვა, წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში. ეს ინფორმაცია ვებგვერდზეც ღიად არის განთავსებული. ჩვენ, როგორც ოლქს, შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული და რა უნდა გაკეთდეს. ცხადია, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება მასწავლებელთა ხელფასებზე.

თქვენ აღნიშნეთ თქვენი საყვარელი დილის რიტუალის შესახებ და დილა-

ვფიქრობ, რომ ურთიერთობები სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა დირექტორმა უნდა იცოდეს თანამშრომელთა საჭიროებები, აზრები, ფიქრები, დამოკიდებულებები, მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს უნდა იცნობდეს, უსმენდეს მათ.

ობით მეც გხედავთ ხოლმე, როგორ ხვდებით ყველა მოსწავლეს სკოლის გარეთ, უღებთ კარს და ესალმებით. ამ რიტუალის დაწესება თქვენი გადაწყვეტილება იყო? და ბოლოს, რას ურჩევდით საქართველოს სკოლის დირექტორებს?

დიახ, ეს იყო სრულებით ჩემი გადაწყვეტილება. როდესაც ფრანკლინის დაწყებით სკოლაში ვმუშაობდი, იქაურმა სკოლის დირექტორმა და მე გადავწყვიტეთ, სხვადასხვა შესასვლელთან დავმდგარიყავით მოსწავლეების დასახვედრად. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ტრადიციას ვაგრძელებ – ეს ნამდვილად არის ჩემი სამუშაო დღის ყველაზე საყვარელი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით, ბევრი დადებითი უკუკავშირი მაქვს, ასე ვუახლოვდები ბავშვებს, ოჯახებს, ვსწავლობ მათ სახელებს, დილაობით ვსაუბრობ მშობლებთან.

ვფიქრობ, რომ ურთიერთობები სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა დირექტორმა უნდა იცოდეს თანამშრომელთა საჭიროებები, აზრები, ფიქრები, დამოკიდებულებები, მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს უნდა იცნობდეს, უსმენდეს მათ. მე მასწავლებლებს ვიცნობ როგორც პროფესიული, ისე პირადი კუთხიდან, ჩემთვის ძალიან ახლოა მათი ცხოვრების ყველა ასპექტი – მათი შვილები, მეუღლეები, მშობლები, ცხოვრებისეული გამოწვევები. მოსახლეობა კარგად გრძნობს ჩემს დამოკიდებულებას მათ მიმართ, ამ მიდგომით კი მეც ვგრძნობ, რომ მათი ნაწილი ვარ.

ვფიქრობ, რომ ურთიერთობები სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა დირექტორმა უნდა იცოდეს თანამშრომელთა საჭიროებები, აზრები, ფიქრები, დამოკიდებულებები, მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს უნდა იცნობდეს, უსმენდეს მათ.

საგანმანათლებლო ლიდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში

მომზადებულია OECD-ის კვლევის შედეგების მიხედვით

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

» სკოლის დირექტორის ავტონომიური გადაწყვეტილებების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რესურსების მენეჯმენტისა და სწავლების ორგანიზების კომპონენტებისათვის.

საგანმანათლებლო ლიდერობა მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ან სისტემების მართვას. იგი მოიაზრებს სხვადასხვა ასპექტის ხელმძღვანელობას, როგორიცაა სასწავლო გეგმის შემუშავება, მოსწავლეთა და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ სხვა პირთა კეთილდღეობა, პერსონალის მართვა, რესურსების განაწილება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და პოლიტიკის განხორციელება.

ჟურნალის წინა ნომრებში ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ეფექტიანი საგანმანათლებლო ლიდერობა გადამწყვეტ როლს თამაშობს პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფაში, აკადემიური მიღწევების ხელშეწყობაში, მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერასა და ყველა მოსწავლისთვის ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ასევე, სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო ლიდერები არიან პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საგანმანათლებლო პრაქტიკისა და პოლიტიკის ფორმირებაში.

საგულისხმოა, რომ როგორც საგანმანათლებლო ლიდერობა, ასევე, სკოლის ორგანიზაციული კულტურა განსხვავდება ქვეყნებისა და კულტურების მიხედვით. მაგალითად, OECD-ის 2018 წლის კვლევის ძირითადი მიგნებები განათლების ლიდერობის კომპონენტისათვის აქცენტს აკეთებს დირექტორების დროისა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე, ასევე, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებისას, სხვადასხვა ორგანოს მონაწილეობასა და გავლენაზე.

დემოგრაფია – ასაკი და სქესი

საგანმანათლებლო ლიდერების დემოგრაფიული მონაცემები ის მნიშვნელოვანი ცვლადებია, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს როგორ სასკოლო კულტურაზე, ასევე, სკოლის მართვის სტილზე. OECD-ის კვლევის მონაცემების თანახმად:

- დირექტორების საშუალო ასაკი, დაახლოებით, 52 წელია და მხოლოდ მცირე ნაწილია 40 წელზე ახალგაზრდა;
- მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების ნახევარზე მეტი ქალია, ქალი დირექტორების პროცენტი, ზოგადად, დაბალია, რაც მიუთითებს გენდერულ უთანასწორობაზე ხელმძღვანელ პოზიციებზე;

- არათანაბარი ხელფასი: სკოლის ხელმძღვანელები იღებენ უფრო მაღალ ხელფასს მასწავლებლებთან შედარებით, დანამატები/პრემიები იზრდება განათლების დონესთან ერთად. საშუალოდ, OECD-ის ქვეყნებში გამოვლინდა, რომ სკოლების ხელმძღვანელების ხელფასები 52-56%-ით მაღალი იყო მასწავლებლების ხელფასებთან შედარებით, მაგრამ ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი შედარებით ნაკლებად კმაყოფილი არიან თავიანთი ხელფასებით.

დემოგრაფიულ მონაცემებს თუ განვიხილავთ აშშ-ს შემთხვევაში, განსხვავებული ტენდენციებია:

- გენდერულ ჭრილში მზარდია ქალი დირექტორების წილი. 1993 წლიდან აშშ-ის საჯარო სკოლებში ქალი დირექტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2018 წლის მონაცემებით, 48 750 დირექტორი ქალი იყო, ხოლო კაცი – 42 100;
- საშუალო ასაკიც მცირედ, თუმცა განსხვავდება OECD-ის მაჩვენებლისგან. თუკი ზოგადად საშუალო ასაკი 52 წელია, აშშ-ის მონაცემებით, ამერიკელი დირექტორების საშუალო ასაკი 49 წელია.

დროის განაწილება

კვლევის მონაცემების თანახმად, დროის განაწილების შემთხვევაში, სურათი შემდეგნაირია:



დირექტორები დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ ადმინისტრაციულ ამოცანებსა და შეხვედრებზე (28%), შემდეგ მოდის ლიდერობის ამოცანები (21%) და სასწავლო გეგმა/სწავლებასთან დაკავშირებული ამოცანები (16.3%). ისინი, ასევე, გარკვეულ დროს უთმობენ მოსწავლეებთან (14%), მშობლებთან/მეურვეებთან (10%) და ადგილობრივ/რეგიონულ საზოგადოებასთან (6%) ურთიერთობას.

პასუხისმგებლობის განაწილება ფინანსურ ფრივი თვალსაზრისით

პასუხისმგებლობის ნაწილში აქცენტი, მოცემული კვლევის შემთხვევაში, უმეტესწილად, კეთდება სასწავლო გეგმას, დისციპლინასა და მოსწავლეთა შეფასებაზე.

კურიკულუმის კომპონენტისათვის პასუხისმგებლობის 22% მოდის დირექტორზე, 44% მასწავლებელზე, 8% სკოლის სამეურვეო საბჭოზე და დანარჩენი 27% კი – რეგიონულ და ეროვნულ ხელისუფლებაზე.



თუკი კვლევის ზოგად მიგნებებს დავადარებთ ამავე კვლევის მონაცემებს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, სურათი განსხვავებულია – ტენდენცია სკოლის შიგნით თანამშრომლოგითი კულტურის ყველა კომპონენტისათვის გაღალია.

კვლევის მონაცემის თანახმად, პასუხისმგებლობა სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინაზე შემდეგნაირად ნაწილდება სასკოლო საზოგადოებაში: დირექტორი 39%, მასწავლებელი 29%, სკოლის სამეურვეო საბჭო 22%.

პასუხისმგებლობები მოსწავლეთა დისციპლინაზე



მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა, ძირითადად, ეკისრებათ სკოლის დირექტორებსა (32%) და მასწავლებლებს (36%), უმნიშვნელო როლი აქვთ სხვა აქტორებს.

გადაწყვეტილებების მიღება

OECD-ის 2018 წლის კვლევის მონაცემებს თუ შევხედავთ, გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში, ძირითადი ტენდენცია გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ ან სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე ხშირად ზემდგომი უწყების მხრიდან გაცემული მითითებების საფუძველზე მიიღება, თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანი წილი მოდის სკოლის დირექტორის სრული ავტონომიით მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

სკოლის დირექტორის ავტონომიური გადაწყვეტილებების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რესურსების მენეჯმენტისა და სწავლების ორგანიზების კომპონენტებისათვის.



ადგილობრივ სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები | სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები | ადგილობრივ სკოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები

%

- სრული ავტონომიით
- სხვა უწყებასთან/დეპარტამენტთან თანამშრომლობით
- ზემოდგომი უწყების მითითებით
- სხვა
- სხვა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები სკოლებთან კონსულტაციის შემდეგ

თუკი კვლევის ზოგად მიგნებებს დავადარებთ ამავე კვლევის მონაცემებს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, სურათი განსხვავებულია – ტენდენცია სკოლის შიგნით თანამშრომლობითი კულტურის ყველა კომპონენტისათვის მაღალია. სკოლის სხვადასხვა უწყებასთან/დეპარტამენტთან თანამშრომლობა მაღალ ნიშნულს აღწევს რესურსების მართვის, დაგეგმვისა და სტრუქტურის განსაზღვრის, ასევე, პერსონალის მართვისა და სწავლების ორგანიზების ნაწილშიც. ბოლო კომპონენტისათვის ზემდგომი უწყების მითითებებს, ასევე, მნიშვნელოვანი წილი აქვს.

მოცემული დიაგრამა ასახავს სკოლის ორგანიზაციული კულტურისა და სკოლის მართვის საკითხებთან მიმართებით თანამშრომლობის მნიშვნელობას.



OECD-ის 2018 წლის კვლევის ეს მიგნებები გამოკვეთს საგანმანათლებლო ლიდერობის რთულ „ლანდშაფტს“, მათ შორის, დროის განაწილებას, პასუხისმგებლობის განაწილებას, ასაკობრივ დემოგრაფიულ მონაცემებს, გენდერულ უთანასწორობას, ხელფასების შეუსაბამობასა და სამუშაოთი კმაყოფილების დონეს. ამ საკითხების განხილვამ შეიძლება ხელი შეუწყოს განათლების სისტემებში უფრო ეფექტურ და სამართლიან ლიდერობას მთელ მსოფლიოში.

უფრო ვრცლად, აღნიშნული კვლევის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია აქ: https://shorturl.at/gXp5h

საქართველოს კონტექსტი

საინტერესოა დაფიქრება ქართულ კონტექსტზეც, OECD-ის კვლევაში მოცემული საკითხების ჭრილში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მოცემულ ეტაპზე ახორციელებს დირექტორების გამოკითხვას მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების შესახებ. უკვე გამოკითხულია 1010 რესპონდენტი, რაც არსებული სკოლის ხელმძღვანელების თითქმის ნახევარია. პირველადი მონაცემების თანახმად, ისინი ყველაზე ხშირად სწორედ იმ მიმართულებით ისურვებდნენ პროფესიულ განვითარებას, რაზეც OECD-ის 2018 წლის კვლევა ამახვილებს ყურადღებას. იმ კომპონენტებისათვის, სადაც მონაცემები აჩვენებს, რომ მაღალია საგანმანათლებლო ლიდერების ჩართულობა, ჩვენი შედეგები ემთხვევა - სწორედ ამ მიმართულებებზეა ორიენტირებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების პროფესიული განვითარების საჭიროებებიც.

გამოკითხული დირექტორები ყველაზე ხშირად ისურვებდნენ პროფესიული განვითარების სერვისებს შემდეგი მიმართულებებით: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება (55%), სასკოლო კურიკულუმის განხორციელება (52%), სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება (55%); კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (54%) და სკოლის დაგეგმვა და განვითარება (42%).

გამოკითხული დირექტორები ყველაზე ხშირად ისურვებდნენ პროფესიული განვითარების სერვისებს შემდეგი მიმართულებებით: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება (55%), სასკოლო კურიკულუმის განხორციელება (52%), სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება (55%); კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (54%) და სკოლის დაგეგმვა და განვითარება (42%). შედარებით ნაკლები აქცენტები კეთდება სხვა კომპონენტებისათვის.

პროფესიული განვითარების ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებები



» პირველადი მონაცემების თანახმად, ისინი ყველაზე ხშირად სწორედ იმ მიმართულებით ისურვებდნენ პროფესიულ განვითარებას, რაზეც OECD-ის 2018 წლის კვლევა ამახვილებს ყურადღებას.

საერთო ჯამში, გამოკითხვის ეს მაჩვენებლები გამოკვეთს მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებენ საგანმანათლებლო ლიდერები სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და სკოლის დაგეგმვისა და განვითარების პროცესებში. მათი ეს ჩართულობა კი უზომოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეების მაღალი აკადემიური მიღწევების ხელშესაწყობად. მოცემული კვლევის შესახებ უფრო ვრცლად ჟურნალის მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ.

საბავშვო სამკითხველოები ამერიკაში

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება"
II, თებერვალი, 1910 წელი

უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულს შტატებში დიდი მოძრაობა შეინიშნება საყმაწვილო ბიბლიოტეკების და სამკითხველოების გახსნისა და გამრავლების შესახებ.

ძირითადი მიზანი საბავშვო ბიბლიოტეკების დაარსებისა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ მიაწოდონ ბავშვებს წიგნები საკითხავად, არამედ იმაშიაც, რომ ბავშვებს განუვითარონ გემოვნება და ჩვეულება წიგნების კითხვისა.

ამერიკის ბევრს ქალაქებში მოწყობილია სპეციალური საბავშვო სამკითხველოები, რომლის თვალ-ყურის გდება დავალებული აქვთ მასწავლებლებს. სხვა და სხვა ასაკის ბავშვები ხალისით დადიან ამ სამკითხველოებში. ქ. პიტსბურგში 1905 წელში, წლის განმავლობაში 300 000-ჯერ უვლიათ ბავშვებს. უფრო ამ ბიბლიოტეკას კვირაობით ეტანებოდნენ.

სამკითხველოს გამგე აკვირდებოდა ბავშვებს და გამოკითხვით ტყობილობდა მიზეზს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიცარ დადიოდნენ სანკითხველოში. რადგანაც გამგეებს განზრახული ჰქონდათ ფართოდ გავრცელება კითხვისა ბავშვებში, ისინი მიდიოდნენ მშობლებთან და ითანხმებდნენ, რომ თავიანთი შვილები ჩაეწერათ სამკითხველოს წევრებად.

საბავშვო ბიბლიოტეკები და სამკითხველოები ამერიკაში ისეა მოწყობილი, რომ ბევრი სინათლე და ჰაერი და სხვა მოწყობილება ხელს უწყობს კითხვას. რომ გამოიწვიონ ბავშვებში ესთეტიური გრძნობა, გამგეები მორთავენ სამკითხველოებს მცენარეებით და ყვავილებით. კედლებზე გამოჰფენენ ფოტოგრაფიულ სურათებს, შესანიშნავი მხატვრების ნაწარმოებს. სამკითხველოს კუთხეებში სდგამენ გამოქანდაკებულ სახეებს, ფრინველების და ცხოველების გამოხატულებას და სხვ.

მხიარული ფერის ყდებში ჩასმული წიგნები დაბლა თაროებზე აწყვია, რომ საჭირო წიგნი ადვილად ჩამოიღონ ბავშვებმა.

წიგნების საკითხავი მაგიდა დაბალია, ფართო და გრძელი, გაკეთებულია ბავშვების სიმაღლის მიხედვით.

ბიბლიოტეკაში მოიპოვება წიგნები ყველა ასაკის ბავშვისათვის – როგორც საბავშვო ჟურნალები შესაფერისის სურათებით, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის დასტამბულს წერილს, აგრეთვე სხვა და სხვა სიტყვა-კაზმული ნაწარმოებნი, რომელნიც შეეფერებიან მოზარდ თაობას.

უფრო გატაცებით თხოულობენ საბავშვო ჟურნალებს, რაც ბევრია და მოთავსებულია ძირის თაროზე, საიდანაც მსურველს ადვილად შეუძლიან აიღონ ესა თუის წიგნი.

საბავშვო ბიბლიოტეკები და სამკითხველოები ამერიკაში ისეა მოწყობილი, რომ ბევრი სინათლე და ჰაერი და სხვა მოწყობილება ხელს უწყობს კითხვას. რომ გამოიწვიონ ბავშვებში ესთეტიური გრძნობა, გამგეები მორთავენ სამკითხველოებს მცენარეებით და ყვავილებით. კედლებზე გამოჰფენენ ფოტოგრაფიულ სურათებს, შესანიშნავი მხატვრების ნაწარმოებს. სამკითხველოს კუთხეებში სდგამენ გამოქანდაკებულ სახეებს, ფრინველების და ცხოველების გამოხატულებას და სხვ.

» ბევრ ადგილას ამერიკის ბიბლიოტეკებში კედლებზე შემდეგი წარწერაა: „ბიბლიოტეკაში არსებული წიგნები იმყოფება მკითხველთა მზრუნველობაში". ბავშვები ამგვარი ნდობით ამაყობენ და ცდილობენ ეს ნდობა გაამართლონ, არ გასვარონ, არ დახიონ და არ დაკარგონ წიგნები, რაც მათ ეძლევათ სახლში საკითხავად.

ბავშვების კითხვაში ხელმძღვანელობის დროს გამგეები მიმართავენ თვალსაჩინო სწავლებას სურათებისა და სხვა საგნების შემწეობით. მკითხველთა ყურადღება მუდმივ მიმართულია ახსნა-განმარტებაზე, სჯა-ბაასზე, პოეტური ნაწარმოების პროზით და ლექსებით დეკლამაციაზე, რომელიც ეხება რომელიმე შესანიშნავ დღეს, ისტორიულს მოგონებას, ლიტერატურას და აწინდელს საზოგადოებრივს ცხოვრებას. სურათები შეადგენენ ისტორიის, გეოგრაფიის და საბუნების-მეტყველო საგნების სწავლების დამატებას, რასაც სკოლაში სწავლობენ.

დაბადების ან გარდაცვალების წლის თავს შესანიშნავი ადამიანებისას: პოეტებისას, მწერლებისას, მხატვრებისას, მეცნიერთა და საზოგადო მოგვაწეთა მოაგონებენ მკითხველებს. იმ დღეს შესავალ კარებთან ჩამოკიდებენ სურთს იმ პირისას, ვისი დღესასწაულიც არის იმ დღეს.

ბიბლიოთეკა სამკითხველოებში არის წიგნების კატალოგები, რომელსაც ზემოდამ აწერია: „თუ გსურთ გაეცნოთ წარსულ გმირთა ცხოვრებას, შესანიშნავ მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მკვლევართა, მხატვრებს და სხვათა, გაწვდით ამ მიზნით წიგნების სიას, სადაც იპოვით ყველაფერს, რაც გაინტერესებთ".

იმის გამო, რომ თვალსაჩინოდ სწავლება უფრო ჩქარა და უკეთესად შეითვისება, ვიდრე სიტყვიერი, ზეპირი, სხვა და სხვა მხატვრული სერიები ძლიერ კარგს მასალას წარმოადგენენ. ამ გვარმა ცდამ, რაც მოახდინეს ერთს საბავშვო ბიბლიოთეკაში, ძლიერ კარგი ნაყოფი მოიტანა. ამ ბიბლიოთეკის ერთს კედელზე გამოფენილი იყო ფერადი სურათები, როგორც თვალსაჩინოთ დამასურათებელი ცნობილის ზღაპრებისა და იგავ-არაკებისა. ამგვარ ნაწარმოების და სურათების მოთხოვნილება ისეთი დიდი იყო, რომ ის თაროები, სადაც ისინი ელაგა, მუდამ ცარიელი რჩებოდა.

კვირაში ორჯელ ბავშვები შეიკრიბებიან სამკითხველოში იმ დროს, როცა ბიბლიოტეკის გამგე უკითხავს მათ სხვა და სხვა მოთხრობებს, ამბებს, რაც ბავშვებისათვის გასაგებია და მათი წლოვანებისათვის შესაფერისი. წაკითხვის შემდეგ გაიმართება სჯა-ბაასი და კამათი წაკითხულის შესახებ. ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ, ამასთან აღძვრებათ სურვილი თავისთავად წაიკითხონ ესა თუ ის ნაწარმოები.



ბევრ ადგილას ამერიკის ბიბლიოტეკებში კედლებზე შემდეგი წარწერაა: „ბიბლიოტეკაში არსებული წიგნები იმყოფება მკითხველთა მზრუნველობაში". ბავშვები ამგვარი ნდობით ამაყობენ და ცდილობენ ეს ნდობა გაამართლონ, არ გასვარონ, არ დახიონ და არ დაკარგონ წიგნები, რაც მათ ეძლევათ სახლში საკითხავად.

ამნაირად იზრდება და ვითარდება ახალი თაობა ამერიკაში, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

დისციპლინური დევნა საჯარო სკოლაში

დენის წურწუმია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური დევნა გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანიც არის მოსწავლის (ან მასწავლებლის) მიერ ჩადენილი დისციპლინურ გადაცდომის გამოვლენა. მნიშვნელოვანია, რომ დევნის მიზანში არ არის ნახსენები სახდელი (სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა) და ის ამოიწურება გადაცდომის ფაქტის გამოვლენით (მოხდენის დადასტურება ან უარყოფა). კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინური წარმოების პროცედურებს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მის განმხორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს – დისციპლინურ კომიტეტს, თვლის სკოლის თვითმმართველობის განმხორციელებელ ერთ-ერთ სუბიექტად, ხოლო მის საქმიანობას – სკოლის ავტონომიის ნაწილად.

რაც შეეხება უშუალოდ წარმოების პროცედურას, პირობითად მისი დაყოფა შესაძლებელია სამ ეტაპად – მომზადება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

მომზადების ნაწილში კანონმდებლობა ადგენს როგორც წარმოების ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, ისე სახდელთან დაკავშირებული მტკიცებულებების მომზადების წესებს. პრინციპების ნაწილში აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო სასკოლო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. დისციპლინური წარმოების პროცედურების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დევნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯერო-

> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური დევნა გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანიც არის მოსწავლის (ან მასწავლებლის) მიერ ჩადენილი დისციპლინურ გადაცდომის გამოვლენა.

» მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი (იძახებს მანდატურს ან უფლებამოსილ სხვა პირს და მისი თანხლებით ტოვებს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესს), 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილებას – სკოლის დირექტორი, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან გარიცხვის გადაწყვეტილებას – დისციპლინური კომიტეტი, ფარული კენჭისყრით.

ვანი და სამართლიანი პროცედურებით. ზემოაღნიშნული პროცედურების დაუცველობა გავლენას მოახდენს განხორციელებული წარმოების სამართლებრივ შედეგებზე და მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას ექნება სამართლიანობისა და სანდოობის პრობლემა.

რაც შეეხება მტკიცებულებების მომზადებას, მნიშვნელოვანია, რომ, უშუალოდ მტკიცებულებების მოკვლევამდე, სკოლამ გასაგებად განუმარტოს მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის არსი, ხოლო მის მშობელს დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გადაცდომასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოძიების პროცესში შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სავარაუდო გადაცდომის ჩამდენი მოსწავლის მიერ სწორი ინფორმაციის მიწოდებას დევნის განმხორციელებელი სუბიექტისთვის, მოსწავლეს შეუძლია, არ გაამჟღავნოს გადაცდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დუმილის შემთხვევაში, მოსწავლეს უშუალოდ დუმილის გამო ვერ დაეკისრება სახდელი, თუმცა ამ უფლების გამოყენება მას ვერ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

მტკიცებულებების მომზადების ეტაპზე, ასევე, მნიშვნელოვანი მექანიზმია ე.წ. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება. დისციპლინური დევნის კონტექსტში აღნიშნული ხორციელდება სკოლის მანდატურის (ან საამისოდ უფლებამოსილი პირის) მიერ მოსწავლის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის იარაღის ან იმ საგნის აღმოჩენის მიზნით, რომელსაც სავარაუდო გადაცდომის ჩადენის კვალი ატყვია. ასევე, მიზანი შეიძლება იყოს გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე, იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად.

რაც შეეხება უშუალოდ გადაცდომის ფაქტის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დისციპლინური კომიტეტი ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოს პრინციპებით (მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის რაოდენობრივი პარიტეტის შემადგენლობა), მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ ზემოქმედების ზომის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები, კომიტეტის გარდა, შესაძლოა იყოს როგორც მასწავლებელი, ისე სკოლის დირექტორიც.

მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური გადაცდომის განხილვის ეტაპზე დისციპლინურმა კომიტეტმა განიხილოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მიიღოს მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნული, ასევე, გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება დაეფუძნოს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც ცალსახა პასუხს არ იძლევა შესაბამის საკითხებზე, ან ქმნის ეჭვის საფუძველს მისი მოპოვების კანონიერებასთან ან სანდოობასთან მიმართებით.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას, მისი მიღება დაკავშირებულია არა მოსწავლის კონკრეტული ქმედების შინაარსთან და გარემოებებთან, არამედ ზემოქმედების ზომასთან. დეტალები განისაზღვრება სკოლების შინაგანაწესით, თუმცა ამ შინაგანაწესების ძირითადი ნორმები იდენტურია. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლის ან ასეთის მცდელობის შემთხვევაში, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი (იძახებს მანდატურს ან უფლებამოსილ სხვა პირს და მისი თანხლებით ტოვებს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესს), 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილებას – სკოლის დირექტორი, ხოლო 5–10 დღემდე ვადით დათხოვნის ან გარიცხვის გადაწყვეტილებას – დისციპლინური კომიტეტი, ფარული

კენჭისყრით. ამასთან, კანონი ითვალისწინებს მოსწავლის გარიცხვის უფლებამოსილებას, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 27) პირდაპირ უთითებს, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. იმისთვის, რომ არ იქნეს დარღვეული მოსწავლის კონსტიტუციური უფლება განათლების მიღების თაობაზე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი დისციპლინურ სახდელად მოსწავლის გარიცხვის გამოყენების დროს ადგენს შეზღუდვას, კერძოდ, „დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა“. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ 10-12 კლასებში, როცა მოსწავლეს უკვე დაძლეული აქვს 1-9 კლასების საგანმანათლებლო პროგრამა.

მნიშვნელოვანია, რომ რეგულაციები ითვალისწინებს სახდელის ვადამდე მოხსნის შესაძლებლობასაც, რაც შეიძლება დამატებით მოტივაციად ჩაითვალოს მოსწავლისთვის, რომ მომავალში არ გაიმეოროს გადაცდომა და სახდელის მოქმედების პერიოდში მაქსიმალურად პოზიტიურად წარმოჩინდეს. სკოლები აღნიშნულ გადაწყვეტილებას სხვადასხვა გარემოებებზე აფუძნებენ, თუმცა უმეტესად ის უკავშირდება იმას, რომ მოსწავლემ არ გაიმეორა გადაცდომა, გამოირჩეოდა სანიმუშო ქცევით, აქვს გარკვეული მიღწევები და სხვ. სახდელის დადების ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასკოლო რეგულაციებით მკაცრად არის განსაზღვრული როგორც წარმოების ვადები, ისე ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ვადა.

ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, რეგულაციები განსხვავდება შტატების მიხედვით, თუმცა არსებობს საერთო მიდგომებიც. მაგალითად, მერილენდის შტატის სასკოლო კანონმდებლობა, დისციპლინური წარმოების პროცედურების ფარგლებში, არ ითვალისწინებს პირველი და მეორე კლასის მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის შესაძლებლობას ზოგადად, თუმცა მას დასაშვებად მიიჩნევს, თუ, მაგალითად, გარიცხვის აუცილებლობა კონკრეტულ სიტუაციაში მოითხოვება ფედერალური კანონმდებლობით. ამ კლასებთან მიმართებით, სკოლიდან დათხოვნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ფსიქოლოგი გასცემს კონსულტაციას, რომ სკოლიდან დათხოვნაზე უარის შემთხვევაში, იარსებებს გარდაუვალი საშიშროება სხვა მოსწავლეებისთვის ან სკოლის თანამშრომლებისთვის.

ისევე როგორც ქართულ კანონმდებლობაში, ამერიკული სისტემაც ითვალისწინებს სკოლის ვალდებულებას, სკოლიდან დათხოვნის შემთხვევაში, აუხსნას მოს-

« **დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას, ხოლო სასკოლო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.**

» სახდელის დადების ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასკოლო რეგულაციებით მკაცრად არის განსაზღვრული როგორც წარმოების ვადები, ისე ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ვადა. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, რეგულაციები განსხვავდება შტატების მიხედვით, თუმცა არსებობს საერთო მიდგომებიც.

წავლეს აღნიშნულის მიზეზი და მისცეს მას შესაძლებლობა, განმარტოს მომხდარი ინციდენტის თავისი ვერსია. საქართველოსგან განსხვავებით, დირექტორს უფლება აქვს, მოსწავლე ჩამოაშოროს (განიმარტება, როგორც მოსწავლის აცილება სკოლის შენობიდან მიმდინარე სასწავლო პროგრამის ნაწილში) სკოლას ათ დღემდე ვადით, თუმცა მასვე ეკისრება გარკვეული პროცედურული ვალდებულებები: მშობლის წერილობითი ინფორმირება მომხდართან დაკავშირებით, ვადის გასვლის შემდეგ შეხვედრა მშობელთან სიტუაციისა და სამომავლო გეგმების განსახილველად. ამასთან, დისციპლინური დევნა არ გულისხმობს მოსწავლის სრულად ჩამოშორებას სასწავლო პროცესისგან და სკოლას აქვს ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო დავალებების შესრულების პროგრესში.

მნიშვნელოვანია ის, რომ დისციპლინური დევნის ნაწილში მოსწავლის 10 დღემდე ვადით სკოლიდან დათხოვნის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ დირექტორს (და არა კონკრეტულ მასწავლებელს). ქართული პრაქტიკისგან განსხვავებით, დირექტორი უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში, 10 დღეზე მეტი ხნით ჩამოაშოროს მოსწავლე სკოლას, თუმცა ამას სჭირდება ადგილობრივი სასკოლო სისტემის ხელმძღვანელის დასტური. ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის მასწავლებლებს არ შეუძლიათ მოსწავლის მიმართ განახორციელონ დისციპლინური დევნა, თუმცა ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული სკოლიდან ჩამოშორებასთან. დევნის პროცედურის თვალსაზრისით, ზოგიერთი ეტაპი გამარტივებულია, მაგალითად, დისციპლინური დევნა დაწყებულად ითვლება, როდესაც გადაცდომის ჩამდენ მოსწავლეს მასწავლებელი მიიყვანს დირექტორთან, სადაც დირექტორი (ზოგიერთ შემთხვევაში, მოადგილე), მას უხსნის სკოლიდან დათხოვნის მიზეზებს და რამდენიმე დღის შემდეგ ოფიციალურად გააცნობს მას/მშობელს დისციპლინური დევნის დეტალებს. ამასთან, პროცედურულად დასაშვებია, რომ ამ მომენტისთვის დირექტორმა დააბრუნოს მოსწავლე სკოლაში, ადგილობრივი სისტემის ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადება დათხოვნის ვადის გაგრძელების ან მოსწავლის გარიცხვის თაობაზე. სისტემის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, იწყებს ფაქტის გამოკვლევას, თუმცა ამ პერიოდში მოსწავლის დათხოვნის გადაწყვეტილება რჩება ძალაში.

უმრავლეს შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის გარანტირებულია გასაჩივრების სხვადასხვა მექანიზმი, რა დროსაც მოსწავლეს უფლება აქვს, ისარგებლოს იურისტის მომსახურებით. გასაჩივრების ვადები განსხვავდება შტატების მიხედვით, თუმცა ძირითადად გამოიყენება 10 დღიანი პერიოდი გადაწყვეტილების მიღებიდან. ამასთან, საჩივარი თუ ეხება ათ დღეზე მეტი ვადით დათხოვნას ან გარიცხვას, მოსწავლის საქმეზე საჩივარი შესაძლოა განიხილოს სკოლის ბორდმა. ამასთან, შესაძლოა სკოლის ბორდმა ჯერ გამოყოს სპეციალური პირი, რომელიც შეისწავლის მტკიცებულებებს და წარმოადგენს თავის გადაწყვეტილებას, რაც, თავის მხრივ, საჩივრდება ბორდთან.

საინტერესოა, რომ მოსწავლის გარიცხვის შემთხვევაშიც, საგანმანათლებლო სისტემა არ იცილებს მასზე პასუხისმგებლობას და მოსწავლეს უზრუნველყოფს ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამით, ან მასწავლებლის მეშვეობით უგზავნის მას საშინაო დავალებებს და შემდეგ უზრუნველყოფს მის შეფასებას.

მოსწავლის ქცევა და შესაგამისი რეაგირების მექანიზმები სკოლაში

ნატა ვაჭარაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტორი, განათლების გართვის კონსულტანტი

სკოლაში მოსწავლის ნებისმიერი ქცევა მიმართულია მიზნისაკენ, რომ იპოვოს თავისი ადგილი, მნიშვნელობა და საჭიროება სკოლაში. სასკოლო ცხოვრებაში ამ მოთხოვნილების რეალიზაციისათვის მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა ხერხს, ხოლო თუ ეს ხერხები არასწორია, მიიღება ქცევის ნეგატიური ფორმა. როდესაც კლასი კონტროლირებადია, ყოველთვის მარტივად შეიმჩნევა ერთი ან რამდენიმე მოსწავლის მხრიდან უარყოფითი ქცევა და სწორედ ასეთ დროს არის მნიშვნელოვანი სათანადო რეაგირება სკოლის პერსონალის მხრიდან, რათა ეს ქცევა არ გახდეს სისტემატური, არ შეუშალოს სასწავლო პროცესს ხელი და არ ფორმირდეს სხვა ბავშვებისთვის მისაბაძ ქცევად.

მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის პრევენციისათვის ყველაზე გადამწყვეტია მასწავლებლის დამოკიდებულება დარეაგირება, თუმცა არანაკლებ საყურადღებოა დირექციის როლი პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირების, განვითარებისა და შენარჩუნებისათვის.

პრევენციული ღონისძიებების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომ შემცირდეს მოსწავლეების მხრიდან არასასურველი ქცევის გამოვლენა. ამისათვის, მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს საერთო ქცევის წესები, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს პოზიტიური, უსაფრთხო გარემოს შექმნას. „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით, განსაზღვრულია დირექტორის როლი და ფუნქცია, სადაც დირექტორის, როგორც ლიდერის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროცესების ეფექტიანად წარმართვა მოსწავლეთა აღზრდის, აკადემიური და პიროვნული განვითარების მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის არასასურველი ქმედების დროს სკოლამ არ მიიღოს რადიკალური ზომები არასწორი ქცევის აღმოსაფხვრელად. აუცილებელია, მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებისას, შემუშავდეს შესაბამისი მიდგომები, რომელიც ამ ქცევას აღმოფხვრის. აუცილებელია, ამ დროს პროცესში

პრევენციული ღონისძიებების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომ შემცირდეს მოსწავლეების მხრიდან არასასურველი ქცევის გამოვლენა.

„საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" მინისტრის ბრძანებით, განსაზღვრულია დირექტორის როლი და ფუნქცია, სადაც დირექტორის, როგორც ლიდერის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროცესების ეფექტიანად წარმართვა მოსწავლეთა აღზრდის, აკადემიური და პიროვნული განვითარების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის არასასურველი ქცევის დროს სკოლამ არ მიიღოს რადიკალური ზომები არასწორი ქცევის აღმოსაფხვრელად.

ჩართული იყოს არამარტო მასწავლებელი, არამედ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, დირექცია და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი. სწორედ ამის უზრუნველსაყოფად შემუშავდა და, მინისტრის ბრძანებით („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"), გაიწერა სასკოლო სივრცეში ფსიქოლოგის მომსახურების საჭიროება.

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სასკოლო სისტემის ყველა წევრს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია და მიიღოს შესაბამისი მომსახურება. ამავე ბრძანებით, ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას, პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

ფსიქოლოგის ინსტიტუტი სკოლაში მნიშვნელოვანი რგოლია, ვინაიდან ხშირად მოსწავლეს, არასასურველი ქცევის გამოვლენისას, სჭირდება არა დამსჯელობითი ღონისძიების გატარება, არამედ, სწორი მიდგომითა და სწორი საუბრით, არასასურველი ქცევის მასტიმულირებელი გარემო ფაქტორების მიმართ სწორი დამოკიდებულებებისა და ქცევების ფორმირება. ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია, თუ რა წარმოადგენს მოსწავლის მიერ არასასურველი ქცევის გამოვლენის მიზანს. ფორმალურმა დისციპლინურმა წარმოებამ შესაძლოა, მკაცრად გაწერილი პროცედურების ფარგლებში, ვერ უზრუნველყოს ამ მიზნის გამოვლენა, ხოლო მიზნის არცოდნის პირობებში, მხოლოდ დასჯით, მოსწავლის მხრიდან ქცევა შესაძლოა განმეორდეს.

ქცევის მართვა მრავალი კომპონენტისგან შედგება და მნიშვნელოვანია ქცევისა და მისი სირთულის იდენტიფიცირება, ქცევაზე ნეგატიურად მოქმედი გარემო ფაქტორების შემცირება და შემდგომში სათანადო და სწორი რეაგირების გზების შემუშავება. სწორედ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და საერთო ქცევის წესების შემუშავებისა და დაცვის მიზნით, საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებს, მათ შორის, მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის საკითხებს. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სახეები აღწე-

რილია შინაგანაწესში და, ასევე, მითითებულია პასუხისმგებლობის სახეებიც. მნიშვნელოვანია, რომ შინაგანაწესი ამომწურავად შეიცავდეს როგორც გადაცდომების, ისე გამოსაყენებელი სახდელების ნუსხას, რათა მოსწავლემ წინასწარ იცოდეს, მის ნეგატიურ ქცევას რა შედეგი მოჰყვება. შინაგანაწესებით, დისციპლინურ გადაცდომად განიხილება გაკვეთილზე არაერთგზის დაგვიანება, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა, მოსწავლეების დისკრიმინაცია და სხვ. ხოლო დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის სახეებია: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისთვის საზარგებლო საქმიანობის დაკისრება და სკოლიდან გარიცხვა. დირექტორის ამ პროცესში ჩართულობა მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, დირექტორი არის ვალდებული, ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, დაიწყოს მომხდარი ფაქტს შესწავლა და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა, რა მიდგომებითა და სამართლებრივი აქტებით ხელმძღვანელობენ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ-ში არსებული პრეცედენტის მიხედვით, მოსწავლის ფიზიკური დასჯა შესაძლებელი იყო და მხოლოდ 1977 წელს მოხდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება სკოლაში ბავშვის დასჯასთან მიმართებით. ნიუ ჯერსი ერთ-ერთი პირველი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც უარი თქვა სკოლაში მოსწავლის ფიზიკური დასჯის კანონიერებაზე, ნიუ ჯერსიმ აკრძალვა გაავრცელა როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებზეც. ნიუ ჯერსის სკოლებს მოეთხოვებათ, დანერგონ მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რომელიც დაფუძნებულია მშობლის, მოსწავლისა და საზოგადოების ინტერესებზე. ქცევის კოდექსი ითვალისწინებს მოსწავლეთა სწავლის პროცესისგან ჩამოშორების ან/და გარიცხვის შემთხვევებსაც.

> მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სასკოლო სისტემის ყველა წევრს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია და მიიღოს შესაბამისი მომსახურება.

» მნიშვნელოვანია ნეგატიურ ქცევაზე სასკოლო საზოგადოების რეაგირების პარალელურად, არ მოხდეს მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან მოსწავლეზე დამატებითი არასაჭირო ზეწოლა. საჭიროა მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია მშობელს სწორად მიეწოდოს, რათა შემდგომში მშობლის მხრიდან დასჯამ, რადიკალური ზომების გამოყენებით, არ დააზიანოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ქცევის კოდექსმა უნდა მიაღწიოს რამდენიმე მიზანს და ამისათვის ითვალისწინებს: პრობლემური ქცევის პრევენციის მექანიზმებს, პრობლემური ქცევის დროს ჩარევისა და გამოსწორების მასშტაბებს და, ასევე, ქცევის კოდექსის დარღვევებზე სკოლის რეაგირების პარამეტრებს.

ქცევის კოდექსი უნდა შეიცავდეს მოსწავლის პასუხისმგებლობის სახეებს, რომელიც ეკისრება სკოლის წესების დარღვევაზე და უნდა შეფასდეს სიმძიმის მიხედვით. მოსწავლე, შესაძლოა, დროებით მოხსნან საგაკვეთილო პროცესიდან ან გარიცხონ სკოლიდან, თუ ის არ დაემორჩილება სკოლის წესებს, დააზიანებს სკოლის ქონებას, იქურდებს, სკოლას დატოვებს სისტემატურად, ან სხვებს მოუწოდებს სკოლის გაცდენისაკენ, დააბულინგებს ან შეავიწროებს სხვებს. მოსწავლეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ქცევის სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება კანონს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას და სხვისი უფლებების გათვალისწინებას.

მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია უკანასკნელი წლების ისეთი გამოწვევა, როგორიც იყო პანდემია. ვაშინგტონში "EDweek"-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საჯარო სკოლების 87%-ში COVID-19 პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ კლასში გაზრდილი იყო ინციდენტები მოსწავლეთა არასათანადო ქცევის შესახებ, მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის მიმართ უპატივცემულობა, მოსწავლეთა შორის არასასურველი დამოკიდებულებები და სხვ. ამდენად, პანდემიის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოსწავლეთა ნდობა იქნეს მოპოვებული. მოსწავლის ქცევაზე რეაგირების დროს მასწავლებლის მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ემოციური მდგომარეობა, განიცდის თუ არა სირცხვილსა და უხერხულობას დანარჩენ თანატოლებთან. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ არ იქნეს გამოყენებული ისეთი ზომები, რასაც არ ითვალისწინებს მარეგულირებელი ნორმები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ნეგატიურ ქცევაზე სასკოლო საზოგადოების რეაგირების პარალელურად, არ მოხდეს მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან მოსწავლეზე დამატებითი არასაჭირო ზეწოლა. ამისთვის საჭიროა მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია მშობელს სწორად მიეწოდოს, რათა შემდგომში მშობლის მხრიდან დასჯამ, რადიკალური ზომების გამოყენებით, არ დააზიანოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

„მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში“ – ახალი გზამკვლევი სასკოლო საზოგადოებისთვის

თამუნია ჭინჭარაული
„დემოკრატია იწყება სკოლაში“
პროექტის მენეჯერი
ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში

ალბათ გქონიათ სიტუაცია, როდესაც გიკითხავთ თქვენი თავისთვის, რატომ არ არიან მოსწავლეები აქტიურად ჩართულნი სასწავლო პროცესში? რატომ არ ერთვებიან მშობლები სკოლის ცხოვრებაში? რატომ გიწევთ თქვენ, როგორც სკოლის დირექტორს, ყველა გადაწყვეტილების მიღება? სხვები რატომ არ ინაწილებენ პასუხისმგებლობას სკოლის კეთილდღეობაზე? რატომაა სკოლის მოსწავლის აკადემიური წარუმატებლობა თუ დისციპლინური გადაცდომა თქვენი, როგორც მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის ბრალი? და სხვა.

რა თქმა უნდა, ყველა ეს შეკითხვა, მათ შორის, მათზე პასუხები, განსხვავებული იქნება სკოლების მიხედვით, თუმცა არსებობს გარემოებები, რეკომენდაციები და პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში, სკოლის ცხოვრებას, ამ თვალსაზრისით, უკეთესობისკენ ცვლის.

სწორედ ამგვარ შინაარსს მოიცავს ახალი გზამკვლევი, რომელზეც ამ სტატიაში უნდა გესაუბროთ – „მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში“.

ცოდნა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გავაცნობიეროთ ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობა და კარგად გვესმოდეს მისი არსი. ცოდნით ჩვენ წარმატებით დავწერთ ტესტს, მაგრამ ასევე წარმატებულად ვმართავთ სკოლას დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით? ცოდნის გარდა, საჭიროა სიბრძნე, რაც ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას გულისხმობს და რაც უკვე სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში წარმატების მიღწევის საწინდარია.

ჩვენი გზამკვლევიც, სწორედ ამ სიბრძნეზე და მთლიანად ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზეა აგებული. რას გვთავაზობს ეს რესურსი საინტერესოს?

- ის თანაბარ უფლება-პასუხისმგებლობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების წევრებს სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში მოსწავლის მონაწილეობის კუთხით და გამოკვეთს ყველას როლს ამ პროცესში;
- გვაძლევს საშუალებას, რომ როგორც სკოლის დირექტორმა, მასწავლებელმა, მოსწავლემ და მშობელმა გავიაზროთ ჩვენი როლი დემოკრატიული მმართველობის პროცესში და დავინახოთ დემოკრატიული მმართველობის სარგებელი ჩვენთვის და სკოლისთვის;
- გვეხმარება, მარტივი ინსტრუმენტების საშუალებით, დავფიქრდეთ, სად ვართ, როგორც სკოლა, როგორც სკოლის დირექტორი, მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი, მონაწილეობის თვალსაზრისით და რა წარმატებები და გამოწვევები გვაქვს ამ მიმართულებით;
- გვთავაზობს სხვადასხვაგვარი ქმედების მრავალფეროვან მენიუს, რომლიდანაც შეგვიძლია, არსებული გამოწვევების საპასუხოდ, შევარჩიოთ ისეთი ქმედებები, რომლებიც ჩვენთვის პრიორიტეტული და ჩვენს საჭიროებებზე მორგებულია;
- გვაძლევს შესაძლებლობას, მარტივი ინსტრუმენტის გამოყენებით, ეს შერჩეული ქმედებები ეფექტურ, მარტივ და დროში გაწერილ გეგმად ვაქციოთ;
- გვეხმარება ჩვენ მიერ შერჩეული ქმედებების პრაქტიკაში განხორციელებაში კონკრეტული რეკომენდაციებით, მაგალითებით, საუკეთესო გამოცდილებებითა და სხვადასხვა ინსტრუმენტით;
- გვაძლევს შესაძლებლობას, რომ განხორციელებული ქმედებების შედეგად გავაკეთოთ რეფლექსია და ვნახოთ, რამდენად შევასრულეთ დაგეგმილი ქმედებები და რა ცვლილებები მივიღეთ შედეგად.

გთავაზობთ ერთ მაგალითს ამ რესურსიდან:

წარმოიდგინეთ, რომ ხართ სკოლის მოსწავლის მშობელი და ხედავთ, რომ თქვენი შვილი არ არის აქტიური, არ აინტერესებს სწავლა, არ იცის, რა პროფესიას დაეუფლოს და ითხოვს თქვენგან მოდური მობილური ტელეფონის ყიდვას. თქვენი აზრით, თქვენი შვილი თავის დროზე სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში რომ ჩართულიყო და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა აეღო გასაკეთებელ საქმეზე, ექნებოდა თუ არა მეტი შესაძლებლობა, რომ გაეაზრებინა, თუ რა ძალისხმევაა საჭირო რაღაცის მისაღწევად?

ყველა ბავშვს აქვს გარკვეული ნიჭი და უნარები, რომლებსაც სჭირდება შესაბამისი გარემო, რომ გამოვლინდეს და განვითარდეს. სად შეიძლება შევქმნათ ეს გარემო, თუ არა სკოლაში? თქვენი აზრით, თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში ბავშვებს მისცემთ თუ არა უფრო ფართო შესაძლებლობას, გამოავლინონ და დახვეწონ საკუთარი ძლიერი მხარეები, მიდრეკილებები და აღმოაჩინონ მეტი ინტერესები? სკოლის მიღმა, ოჯახში თუ ბავშვს ადრეული ასაკიდანვე აქვს თავისუფლება და შესაძლებლობა რომ მისი მოსაზრება გამოთქვას სხვადასხვა გადაწყვეტილებების შესახებ, რაც მის ცხოვრებას ეხება, როგორ ფიქრობთ, ეს გაზიარებული პასუხისმგებლობა მას არ მისცემს მოტივაციას, რომ დაფიქრდეს საკუთარ ქმედებებზე და მათ შედეგებზე? დასაწყისისთვის და მეტი რეფლექსიისთვის, გთხოვთ, შეხედოთ თვითშეფასების ინსტრუმენტს, რომელიც გზამკვლევის 95-ე გვერდზეა მოცემული. როგორც მასწავლებელმა, სკოლის დირექტორმა და როგორც მშობელმა დაუსვით თქვენს თავს შემდეგი შეკითხვები მოცემული ინსტრუმენტიდან: გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებთ მოსწავლეების შეხედულებებს? როგორც მშობელი, მზად ხართ, ნება მისცეთ მოსწავლეებს, ჩაერთონ ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში? როგორც მშობელმა იცით, როგორ დაეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვაში? თუ ამ შეკითხვებზე პასუხებმა დაგაფიქრათ, მაშინ გირჩევთ, რომ გზამკვლევში მოცემულ პრაქტიკულ რჩევებსა და მაგალითებს გადახედოთ. თუ ამ რჩევებს პრაქტიკაში გამოიყენებთ, ცდისა და პრაქტიკის, ხანდახან მცდარი ან სწორი ქმედების შედეგად, გარემო ნელ-ნელა უფრო მონაწილეობითი გახდება. ჩვენ ამის უკვე ბევრი მაგალითი გვაქვს – 2024 წელს გზამკვლევი, ევროპის საბჭოს პროექტის ფასილიტატორების დახმარებით, 20-მა სკოლამ გამოიყენა და, დაახლოებით, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, ასეთი შედეგები მივიღეთ:



თემის საქმიანობაში მოსწავლეთა ჩართულობა - შემთხვევები, მაგალითები, ინსტრუმენტები

როლი – მოსწავლეები ხელს უწყობენ თემის საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობას;

ქმედება სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

პრაქტიკული რჩევები – თანამშრომლობის მემორანდუმი

1-ელი ნაბიჯი

მოსწავლეთა თვითმმართველობის მეხვედრაზე სხვა სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებთან თანამშრომლობის საკითხის წამოჭრა და შესაძლო თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა.

მე- 2 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ოფიციალური წერილის მომზადება პოტენციური თანამშრომლობის შესახებ და სკოლებთან გაგზავნა.

მე-3 ნაბიჯი

სკოლებისგან მიღებული უკუკავშირის შემდგომ, საერთო მეხვედრის დაგეგმვა.

მე-4 ნაბიჯი

სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მოსწავლეთა მონაწილეობით, თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტის შემუშავება.

მე-5 ნაბიჯი

საერთო მეხვედრაზე თანამშრომლობის სფეროების დაზუსტება და მემორანდუმის გაფორმება.

მე-6 ნაბიჯი

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების თანამშრომლობით, საერთო ღონისძიებების დაგეგმვა.

ქმედება პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების მიერ საერთო ღონისძიების ჩატარება.

შემთხვევა – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, თემში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვის მიზნით, გადაწყვიტეს საერთო ღონისძიების ჩატარება. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მხარდაჭერით, შეადგინეს კითხვარი და ადგილობრივ თემში ჩაატარეს კვლევა დემოკრატიული კულტურის შესახებ. კითხვარის შედეგების ანალიზმა გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ თემს ნაკლები ცოდნა ჰქონდათ შერჩეული საკითხების შესახებ, ასევე, თემში გამოიკვეთა გარკვეული სტერეოტიპები. მაგალითად, თემის წარმომადგენლების ნანილი ფიქრობდა, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები ნაკლებად იყო თავსებადი ქართულ კულტურასთან.

პარტნიორი სკოლების თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, გადაწყვიტეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. საერთო მეხვედრაზე, თემატიკის მიხედვით შეარჩიეს დემოკრატიული

- მოსწავლეების მიერ კოლეგიური გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში მონაწილეობა 54%-დან 91%-მდე გაიზარდა;
- მოსწავლეების მიერ პროექტებისა და აქტივობების ინიცირება 21%-დან 38%-მდე გაიზარდა;
- მოსწავლეების მიერ სკოლის ბიუჯეტის ფორმირებაში ჩართულობის უფლებით სარგებლობა, სკოლის დირექტორების მოსაზრებების მიხედვით, 27%-დან 68%-მდე გაიზარდა;
- მოსწავლეების მიერ სკოლის დოკუმენტებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობა 30%-დან 57%-მდე გაიზარდა;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდებისა და ფორმების არჩევის უფლებით სარგებლობის მაჩვენებელი 36%-დან 58%-მდე გაიზარდა.

პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“ (II ფაზა) ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი წარმოადგენს ევროპის საბჭოს საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის ნაწილს (2024-2027 წწ.)

გზამკვლევის სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ბმულზე: https://rm.coe.int/-/1680adefbc

დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE